ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალგაზრდა ივერიელი

გაზეთი გამოდის 1921 წლიდან

შაბათი 15 სექტემბერი № 100 (11586) 1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 3 კაპ.

## გამოვფხიზლდეთ, ღვთის ძევნო!

### სარედაქციო განცხადება

„...აწ უკვე ცული ხეების ფესვთანა დევს. ყოველი ხე, რომელიც არ გამოიღებს კეთილ ნაყოფს, მოიჭრება და ცეცხლს მიეცემა“ (მათე).

ჩვენც ახლა ამ ხეს ვგავართ. ნაყოფს ელოდება ერი. ურთიერთქიშპში გართულები კი ვერც შევამჩნევთ, როდის აიტაცებს მტერი ცულს და იმ ერთადერთ გალეულ ფესვსაც გადაგვიჭრის, უკანასკნელ მაცოცხლებელ ტენს რომ აწვდის ჩვენს დაუძლურებულ სხეულს.

ოფიციალური თუ არაოფიციალური არჩევნების წინა პერიოდში უკიდურესად გამძაფრდა ვნებები არა მარტო პარტიებს შორის, არამედ თვით ამა თუ იმ პარტიის შიგნითაც, კვლავ დაიძაბა სიტუაცია, ახალი ძალით იფეთქა ძმათა შორის შუღლმა. ამ კონფრონტაციაში შეუმჩნევლად გვეცლება ხელიდან ხსნის უკანასკნელი იმედი, იმედი იმისა, რომ საქართველოს თავისუფლება უწერია.

ასეთ სიტუაციაში გაჩუმება არას გვარგებს. ამიტომაც კიდევ ერთხელ მივმართავთ ყველას, ყ ვ ე ლ ა ს, ვისთვისაც ძვირფასია საქართველო, ვიგრძნოთ პასუხისმგებლობა მომავლის წინაშე, მოვუხმოთ სიბრძნეს, დავიცხროთ ვნებები და ც ი ვ ი ლ ი ზ ე ბ უ ლ ი საშუალებებით გადავწყვიტოთ პრობლემები, მხარეთა შორის არსებული ყველა წინააღმდეგობა დავძლიოთ ისე, როგორც ეს ეკადრებათ მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის მქონე ქვეყნის მოქალაქეებს.

„ახალგაზრდა ივერიელის“ კოლექტივს არ სურს და არც შეუძლია იყოს გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილი ზოგიერთი არაეთიკური, ურთიერთშეურაცხმყოფელი პუბლიკაციის ავტორთა თანამოაზრე. მას არ სურს იყოს ამ ურთიერთლანძღვის გულგრილი მაყურებელი, მაგრამ ძალადობას ძალადობითვე ვერ ვუპასუხებთ და უშედეგოდ ვეძებთ არასამართლებრივ სახელმწიფოში სამართალს. იარლიყების ურთიერთმიკერებათა კაკაფონიაში იკარგება ჩვენი ხმა. ყველას ახსოვდეს — ეს ქმედება წარმოაჩენს და აშკარას ხდის მათ მიზნებსა და მისწრაფებებს.

ყველას გასაგონად ვაცხადებთ—„ახალგაზრდა ივერიელი“ ჭეშმარიტად ეროვნული თანხმობის მომხრეა და ბოლომდე უერთგულებს ამ წმიდათაწმიდა იდეალს. ჩვენი გაზეთი თავისუფალი გაზეთია და იცავს დემოკრატიისა და პლურალიზმის პრინციპებს, არ ცნობს არცერთი პარტიის დიქტატს და მომავალში შესაძლებლობისამებრ მისცემს საშუალებას ყველა პოლიტიკურ პარტიასა თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციას გამოთქვას თავისი აზრი. ერი ბრძენია და თვითონ გამოიტანს განაჩენს, თუ ვის უნდა დაუჭიროს მხარი.

მოვუხმოთ ღმერთს, მოვიკვეთოთ ზეაღმართული ხელი, ვიდრე გეენას ჩავვარდებით.

„მაშ, გამოიღეთ ნაყოფი, ღირსი სინანულისა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გაიარა კიდევ ერთმა შფოთიანმა ზაფხულმა, 17 სექტემბერს ახალი სასწავლო წელი ძალაში შევა...**

**რა სიახლეებით ხვდება რესპუბლიკის უმაღლესი და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები ახალ სასწავლო წელს? — ამ კითხვით მივმართეთ თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსის მოადგილეს ᲨᲣᲗᲔᲕᲐᲜ ᲭᲙᲣᲐᲡᲔᲚᲡ და უმაღლესი, საშუალო სპეციალური განათლებისა და მეცნიერების სამმართველოს უფროსს ᲯᲐᲜᲡᲣᲚ ᲙᲝᲠᲫᲐᲘᲐᲡ.**

### ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ ᲒᲘᲡᲣᲠᲕᲔᲑᲗ...

ორიოდე დღეც და დაიწყება ახალი სასწავლო წელი. ქალაქის სკოლები ამ დღისათვის კარგა ხანია ემზადება.

საგრძნობლად განმტკიცდა ბევრი მათგანის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აშენდა ორი სკოლა დიდ დიღომსა და გლდანის მე-5 მიკრორაიონში, კაპიტალურად შეკეთდა 130 სკოლა. სკოლებში მოვიწვიეთ მაღალკვალიფიციური პედაგოგები.

(მარტო 25-ე სკოლაში მეცნიერებათა 14 კანდიდატი ასწავლის სხვადასხვა დისციპლინას).

საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს ინიციატივით წელს, პირველად, მასწავლებლის განაკვეთი გახდა 15 საათი, ეს ხელსაყრელ პირობებს შეუქმნის პედაგოგების შემოქმედებით ზრდას, მოწინავე მეთოდების დანერგვასა და ახალი ექსპერიმენტების განხორციელებას.

თბილისის 10 საშუალო სკოლა დამოუკიდებელ ბალანსზე იმუშავებს, გაიხსნა დიფერენცირებული სკოლებიც.

საქართველოს სახალხო განათლების სამინისტრომ შეიმუშავა სასწავლო გეგმა, რომელიც დამყარებულია საგანთა არჩევითობაზე, ამის საფუძველზე სკოლებს მეცადინეობა შეუძლიათ წარმართონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, მოსწავლეთა მიდრეკილებებისა და უნარის გათვალისწინებით.

მოსწავლეთა ინტერესების, ჯანმრთელობის მდგომარეობის, მომზადების დონისა და მოთხოვნების შესაბამისად ქალაქის ზოგიერთ რაიონში ჩამოყალიბდა სკოლის სხვადასხვა ტიპი — კერძოდ, გიმნაზია, რომელიც სპეციფიკურად განსხვავდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან. გარდა იმისა, რომ დიდუბის რაიონის გიმნაზიაში (უნდა აღინიშნოს რომ ეს რუსული გიმნაზიაა) შემოღებულია ახალი სასწავლო დისციპლინები: ქართული კულტურის ისტორია, მსოფლიო კულტურის ისტორია, კინოსა და თეატრის ისტორია, რელიგიის ისტორია, აქვე გაიხსნა ქართული სექტორის პირველი კლასიც.

თბილისის ისნის რაიონის 77-ე საშუალო სკოლა გიმნაზიად გადაკეთდა. აქ X-XI კლასის მოსწავლეები მათემატიკის მეცნიერებათა საფუძვლებს დაეუფლებიან. VII-VIII-IX კლასები ჰუმანიტარული პროფილით (ქართული ენა და ლიტერატურა; საქართველოს ისტორია) ისწავლიან, II კლასიდან კი გაღრმავებულად ისწავლიან ინგლისურ ენას.

მთაწმინდის რაიონის 49-ე სკოლაში მუშაობას დაიწყებს ქართულ-გერმანული დაწყებითი სკოლის გიმნაზია, ხოლო 50-ეში ქართულ-გერმანული გიმნაზია, გაიხსნა პირველი საავტორო სკოლა (ეს სკოლები მე-6 სკოლის ბაზაზე დაკომპლექტდა).

საბურთალოს რაიონის 192-ე საშუალო სკოლა გადავიდა დიფერენცირებულ სწავლებაზე, კიდევ ერთი სიახლეც—77-ე სკოლაში X კლასის წარჩინებულ მოსწავლეს სკოლა სტიპენდიას დაუნიშნავს.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ყველა მოსწავლესა და პედაგოგს მივულოცო ახალი სასწავლო წელი, წარმატებები და სულის სიმხნევე ვუსურვო.







# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ...

### ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲢᲘᲜᲒᲔᲜᲢᲘ ᲝᲞᲢᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘᲐ...

წლევანდელი მისაღები გამოცდები უმაღლეს სასწავლებლებში მეტად მნიშვნელოვანი სიახლეებით გამოირჩეოდა. აღვნიშნავ მხოლოდ არსებით სიახლეებს. ყველა უმაღლეს სასწავლებელს მინიჭებული ჰქონდა სრული ავტონომია, მაქსიმალურად გაიზარდა მიმღები კომისიის პერსონალური პასუხისმგებლობა, საპრეტენზიო კომისიები ყოველმხრივ ცდილობდნენ ობიექტურად გადაეწყვიტათ გამოცდებთან დაკავშირებული ყველა საჩივარი, შეიცვალა მისაღებ გამოცდებზე საგნების ნომენკლატურა, სსრკ ისტორიის ნაცვლად აბიტურიენტებმა გამოცდა ჩააბარეს საქართველოს ისტორიაში. გაიზარდა მისაღები კონტინგენტი. კონტინგენტის გაზრდა მოხდა ორი მიზეზის გამო: ცნობილია, რომ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები კონტინგენტი შემცირდა 4 ათასი ერთეულით. პრაქტიკამ ამ გადაწყვეტილების სისწორე არ დაადასტურა. რესპუბლიკის საგეგმო ორგანიზაციების გაანგარიშებით, წლევანდელი მიღების კონტინგენტი ოპტიმალურია რესპუბლიკისათვის. მეორე მიზეზი ის გახლავთ, რომ უკანასკნელ წლებში გატარებული არასწორი პოლიტიკის შედეგად თსუ-ში გააუქმეს დაუსწრებელი სწავლება და მინიმუმამდე შეამცირეს საღამოს სწავლების ფორმაც. ყოველივე ამის გამო თსუ-მ დაკარგა რესპუბლიკური მნიშვნელობის უმაღლესი სასწავლებლის სტატუსი. ამჟამად აღადგინეს ძველი ვითარება, უნივერსიტეტის თითქმის ყველა სპეციალობას აქვს საღამო და დაუსწრებელი განყოფილება.

გაფართოვდა უმაღლესი სასწავლებლის ქსელი, გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტის ფილიალი ახალციხეში, სულხან-საბას სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილიალი ბოლნისში.

გაიხსნა რესპუბლიკისათვის საჭირო ახალი სპეციალობები:

თსუ-ში—საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის ფაკულტეტი.

ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში — საინჟინრო ეკოლოგიური ფაკულტეტი.

ქუთაისის უნივერსიტეტში — ბიოლოგიური ეკოლოგიის ფაკულტეტი.

აღდგა შერჩევითი ტურები ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე.

გამოცდების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საპროფორიენტაციო მუშაობა რესპუბლიკის ახალგაზრდობასთან ჯერ კიდევ არ დგას სათანადო სიმაღლეზე, ამას მოწმობს ჩვენი აბიტურიენტების სწრაფვა ე. წ. პრესტიჟული სპეციალობებისადმი, ძალზე მაღალი კონკურსები ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე.

მაგალითად თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე (სამართალმცოდნეობის სპეციალობით) 80 ადგილზე აბარებდა 1600 კაცი, თბილისის სულხან-საბას სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში (დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა) 24 ადგილზე 900 აბიტურიენტი აბარებდა გამოცდებს.

ძალზე მაღალი კონკურსი იყო უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტების ფილოლოგიურ, ისტორიულ და სხვა ჰუმანიტარულ სპეციალობებზე. ეს ხდება მაშინ, როცა ახალგაზრდების დიდი ნაწილი საინჟინრო, აგრონომიული და საერთოდ ტექნიკურ-საბუნებისმეტყველო სპეციალობებისაკენ უნდა ისწრაფვოდეს.

დემოკრატიული საწყისების დანერგვამ ჩვენს ცხოვრებაში დადებით შედეგთან ერთად ზოგიერთი უარყოფითი მოვლენებიც დაამკვიდრა. ამ შემთხვევაში ვგულისხმობ აბიტურიენტებისა და მათი მშობლების აგრესიულობას, მათ უკანონო მოთხოვნებს, დაუსაბუთებელ პრეტენზიებს.

თავისთავად იბადება კითხვა: რატომ ჩარიცხეს ყველა დადებითნიშნიანი აბიტურიენტი შარშან და რატომ არ განმეორდა ეს წელსაც.

რესპუბლიკისა და სამინისტროს ხელმძღვანელობამ შარშან ყველა დადებითნიშნიანი აბიტურიენტის ჩარიცხვისას ძალზე ბევრი რამ გაითვალისწინა: 1989 წელი, პოლიტიკურად და ფსიქოლოგიურად უმძიმესი წელი იყო ჩვენი ერის ცხოვრებაში, ამას დაერთო სვანეთსა და აჭარაში დატრიალებული სტიქიური უბედურებანი, ხელისუფლებამ ამ აქციით გამოხატა ზრუნვა ახალგაზრდობისადმი, მათი ბედისადმი, მომავლისადმი. ეს იყო ერთჯერადი აქტი, რომლის საყოველთაო კანონად ქცევა შეუძლებელია და წარმოუდგენელი. ამგვარი ჩარიცხვა შემდგომ წლებში საჭიროც რომ გახდეს, რესპუბლიკის უმაღლესი სკოლების მატერიალური ბაზა ამისათვის არ არის მზად. სწორედ ეს ვერ გაითვალისწინეს აბიტურიენტებმა და მათმა მშობლებმა. ამიტომაც დაიწყეს ენერგიული ბრძოლა (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) იმისათვის, რომ ყველა დადებითნიშნიანი აბიტურიენტი ჩაგვერიცხა უმაღლეს სასწავლებელში. საზოგადოება მოვალეა წინ აღუდგეს ასეთ აქციებს, თუნდაც იმიტომ, რომ აბიტურიენტთა განუსაზღვრელი რაოდენობის მიღება უმაღლეს სკოლაში არ შედის ეროვნულ ინტერესებში.

მდგომარეობიდან გამოსავალი, ზოგიერთმა უმაღლეს სასწავლებლებმა (თსუ-მ, თბილისის პედაგოგიურმა ინსტიტუტმა) მონახა იმაში, რომ შემოიღო ფასიანი სწავლება...

ფასიანი სწავლების ავ-კარგზე ლაპარაკი ვფიქრობ, ნაადრევია, რადგან ის სულ ახლახან დამკვიდრდა და მის პერსპექტივაზე ვერაფერს ვიტყვი. ერთს კი განვმარტავ: — სწავლების ეს ფორმა შემოღებულია იმ აბიტურიენტთათვის, რომელთაც მისაღებ გამოცდებზე დადებითი შეფასება დაიმსახურეს. რაც შეეხება ქართველი სტუდენტების (რომლებიც კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებში სწავლობენ). სწრაფვას საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისაკენ, აქვს თავისი გამართლება. ამ ბოლო წლებში, საბჭოთა კავშირში გამწვავდა ეთნოკონფლიქტური სიტუაციები, ამდენად ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში ქართველ სტუდენტებს გაუუარესდათ სწავლისა და ცხოვრების პირობები. საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები ყოველმხრივ ცდილობენ მათ დახმარებას, მაგრამ აქაც ვაწყდებით მთელ რიგ წინააღმდეგობებს: თავი რომ გავანებოთ თავისუფალ ადგილებს (რომელთა არსებობა აუცილებელია გადმოყვანის დროს) ბევრი სტუდენტი, რომლებიც რუსეთისა და უკრაინის საოლქო უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ, ვერ ამჟღავნებენ სათანადო მომზადებას გადმოყვანისათვის აუცილებელი გასაუბრების დროს... განსაკუთრებული უცოდინარობა გამოავლინეს საინჟინრო და მათემატიკურ სპეციალობებზე გადმოსვლის მსურველებმა...

ბათუმისა და ქუთაისის პედ-ინსტიტუტების ბაზაზე უნივერსიტეტის დაარსების თაობაზე ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ამ ინსტიტუტების დაფინანსება მკვეთრად გაიზრდება, ეს კი ერთგვარი გარანტიაა მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის.

ახალი უნივერსიტეტის ხელმძღვანელებმა ამთავითვე უნდა იზრუნონ პედაგოგთა სამეცნიერო პოტენციალის ამაღლებაზე, საზღვარგარეთის სასწავლო ცენტრებთან კავშირურთიერთობაზე, ახალი საუნივერსიტეტო სპეციალობების გახსნაზე. ამდენად, უნივერსიტეტად გარდაქმნა, ამ უმაღლესი სკოლებისათვის მხოლოდ სახელის გამოცვლად არ უნდა დარჩეს.

**ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲙᲣᲪᲘᲐᲡ ნახატები.**



— ჩვენი რაიონის სკოლაში ვერ მიგიღებთ, სხვა გალაქტიკიდან ხართ.



— მე კი მიწის მიზიდულობის საკითხში ალტერნატიული პლურალიზმის მომხრე ვარ.



— აიღე 10 კაპიკი ფუნთუშისათვის და დაიმახსოვრე რომ შენი სპონსორი ვარ.



— ბავშვებისადმი მეტი ადამიანობა გმართებთ!

---

# „ისევ დაგვებადება რუსთაველი, აღმაშენებელი, თამარი! ნუ გეშინიათ!“

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ 2 აგვისტოს ნომერში (გვ. 4), სტალინის ეპოქაზე საუბრისას ბატონმა ლოვარდ ტუხაშვილმა განაცხადა, რომ „გიორგი ლეონიძე გუნდრუკს უკმევდა ი. სტალინს...“

ბატონ ლოვარდ ტუხაშვილის ეს განცხადება არასწორია.

გიორგი ლეონიძე სტალინს გუნდრუკს კი არ უკმევდა, არამედ გულწრფელად თაყვანს სცემდა, როგორც წარმოშობით ქართველ მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს პოლიტიკურ მოღვაწეს, როგორც ქართველ კაცს, მოქცეულს და ათწლეულობით მორჭმით მჯდომს დედამიწის 1/6-ზე გადაჭიმული იმ უზარმაზარი ზესახელმწიფოს სათავეში, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა საქართველო. პარადოქსია მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს გადასათელად ლენინის მიერ გზადალოცვილი ბოლშევიკური ურდოების აგრესიის შედეგად თავისუფლებადაკარგულ ქართველ ერს სტალინის ქართველობაზე უფრო დიდი სანუგეშო, სამწუხაროდ, მაშინდელ სინამდვილეში სხვა არაფერი გააჩნდა. ტროცკისთან, ზინოვიევთან, კამენევთან, ბუხარინთან, რიკოვთან და მათ გარემოცვასთან ძალაუფლებისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის დროს სტალინის ბრძანების — დაესაჯათ მოწინააღმდეგეთა ყველა მომხრე, განხორციელებისას ქართველი ერისათვის უმძიმეს ტრაგედიად იქცა (ისევე როგორც სსრ კავშირის ყველა სხვა ერისათვის) მოსპობა სრულიად უდანაშაულო უამრავი ისეთი ქართველისა, რომელთა თვით არსებობაც კი სტალინისათვის უცნობი იყო...

...გიორგი ლეონიძეს, რომელიც 1921 წელს სამშობლოს მიმავალ თავისუფლებას ხმელეთის უკანასკნელ მტკაველამდე მიჰყვა, თავისი ზარბაზნის ბოლომდე ერთგული, შესანიშნავად ესმოდა, რომ ნუგეში აუცილებელია ბედით დაჩაგრული ერისათვის, რომ ერი იმედის გარეშე განწირულია დასაღუპავად!

...„მესია რად იგვიანებს?“ — დღევანდელი ქართველივით გმინავს სამშობლოს განთავისუფლების მოლოდინით გაწამებული ჩორეხი „ნატვრის ხიდან“; და იმედის დაოქროებით ნათქვამი მისივე სიტყვებით თითქოს დღევანდელ ქართველებს მიმართავს გიორგი ლეონიძე: „ისევ დაგვებადება რუსთაველი, აღმაშენებელი, თამარი! ნუ გეშინიათ!“.

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲕᲘᲜᲩᲘᲫᲔ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველ ქალთა ღვაწლი საინგილოში



დღეს, როცა პრობლემად იქცა კაცი მასწავლებლის ნაკლებობა სკოლაში, ძნელი წარმოსადგენია, რომ სულ რაღაც ერთი საუკუნის წინათ ქალებს მასწავლებლობა დიდ გაბედულებად, თითქმის გმირობად ეთვლებოდათ. ამ წერილში მინდა მოგითხროთ იმ ქართველი მანდილოსნების შესახებ, რომლებიც გასული საუკუნის მიწურულსა და ჩვენი საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდნენ ზაქათალის ოლქში (ახლანდელი აზერბაიჯანის სსრ კახის, ზაქათალისა და ბელაქანის რაიონები).

მასწავლებელი კაცების გვერდით სკოლებში ილვწოდნენ ქალებიც: ჯერ კიდევ 1878 წელს კახის ორკლასიან ვაჟთა სკოლაში მასწავლებელ დავით გულისაშვილის მეუღლის, პელო გულისაშვილის მიერ ორგანიზებულ იქნა ქალთა განყოფილება, სადაც 19 ინგილო ქალი პირველად შეუდგა ბიჭებთან ერთად სწავლას. ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე იგი 9-დან 11 საათამდე ამეცადინებდა გოგონებს ხელგარჯილობაში. „წარმოიდგინეთ სწავლის სურვილი, — წერდა გ. ზუციშვილი, — დედ-მამებმა არ მიაქციეს ყურადღება ძველ მამაპაპურ ჩვეულებას, რომლის ძალითაც ახალგაზრდა ქალი, თუ არა ახლო ნათესავს, ისე სახეს არავის დაანახებს. და თავიანთი ქალები გაგზავნეს შკოლაში, სადაც ვაჟებთან ერთად სწავლობდნენ. ამ ჟამათ კახის სასოფლო სკოლაში დაიარებიან 22 ქალი 8-18 წლოვანები. მსურველები კიდევ ბევრი არიან, მაგრამ არა ყავთ არც ცალკე მასწავლებელი და არც ოთახი. ორი მასწავლებელი, რაც უნდა გენიოსი იყვნენ ორ პაწაწინა ოთახში, 100 შეგირდზედ მეტს ვერ ასწავლის“ („დროება“ 1879 წ. № 261, გვ. 3).

ახალგაზრდა მასწავლებელ პ. გულისაშვილის ეს წამოწყება აიტაცეს სხვა პატრიოტმა ქალებმაც: ს. ყულოშვილმა (კენჭოშვილმა), ს. მირიანაშვილმა, ფ. რობიტაშვილმა, თ. მჭედლიშვილმა, ნ. გედევანიშვილმა-აბდუშელმა, ნ. წიქორიძემ, მ. სიდამონ-ერისთავმა და სხვ.

გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ ამ ქალებმა ინგილოების ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი ინგილო ქალების ცხოვრებაში ითამაშეს ისეთივე როლი, როგორც ციმბირში გადასახლებული დეკაბრისტების ცოლებმა ციმბირელების ცხოვრებაში. სწორედ მათი მოსვლის შემდეგ დაიწყეს სწავლა ალიბეგლოს, ქეთოქლოს, ყორაღანისა და მუშაბაშის სკოლებში ინგილო ქალებმა. კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების მიერ 1890 წელს დაარსებული კახის ერთწლიანი ქალთა საეკლესიო-სამრევლო სკოლა იყო ერთ-ერთი საუკეთესო აქაურ სკოლებს შორის, ერთი წლის შემდეგ სოფლის საზოგადოებამ ააშენა 1500 მანეთად ღირებული კეთილმოწყობილი შენობა, რომელიც ეკლესიის ეზოში მდებარეობდა. (იხ. კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების 1906 წლის ანგარიში, გვ. 174).

თუმცა გაქრისტიანდნენ, მაგრამ მათ შორის მაინც ღრმად იყო ფეხმოკიდებული მუსლიმანური შეხედულება ქალზე და მათაც მიაჩნდათ, რომ ქალს სკოლა და სწავლა არ სჭირდებოდა, ამიტომ სკოლების ინსპექტორს, ადგილობრივი ეკლესიის მღვდლებს და მასწავლებლებს მათ შესაგონებლად და მშობლების დასაყოლიებლად დიდი ჯაფა სჭირდებოდათ. მოსწავლე გოგონებს მშობლები ხშირად სკოლაში არ უშვებდნენ რთველის, ხან ქორწილების, ხან აბრეშუმის ჭიის მოვლის საბაბით. ამის შედეგად 1897 წელს უფროსი განყოფილების კურსი მხოლოდ შვიდმა დაამთავრა, მაშინ, როცა სკოლაში 60 გოგონა დადიოდა.

ზაქათალის ოლქის საეკლესიო სკოლებისათვის 1897 წლის 24 იანვრიდან საპატიო მზრუნველად დაინიშნა კახის უბნის უფროსი ა. ნ. გველესიანი, ხოლო სასოფლო საზოგადოებრიობისაგან მზრუნველობა დაევალა ს. ოთარაშვილს.

ტ. ივანიცკი კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოებისათვის წარსადგენ ანგარიშში წერდა:

საპატიო მზრუნველი პ. გველესიანი ღებულობდა ზომებს, არწმუნებდა მოსწავლეთა მშობლებს, რათა გოგონები აკურატიულად დასწრებოდნენ გაკვეთილებს, ხოლო მეორეს მხრივ წამახალისებელ ღონისძიებებს მიმართავდა, იწვევდა მოსწავლე გოგონათაგან ზოგიერთს ნაძვის ხეზე, რომელსაც აწყობდა ბავშვებისათვის თავის სახლში, ხოლო შემდეგ საჩუქრებით ისტუმრებდა შინ, რაც თავის მხრივ სკოლისათვის კიდევ უფრო მეტად განაწყობდა ინგილო გოგონებს. მზრუნველი გლეხი ს. ოთარაშვილი კი, სკოლის ყოველგვარ გაჭირვებას დახმარების ხელს უწვდიდა. 1897 წელს მან მონაწილეობა მიიღო საკლასო სათავსოს გარემონტებაში“. (საქართველოს სსრ ცსია, ფ. 493, აღწ. 1, საქმე, 829 ფ. 37).

ამ სკოლებში ყოველი გაკვეთილი იწყებოდა და მთავრდებოდა ლოცვების კითხვით. ლოცვებს კითხულობდა მორიგე გოგონა. კვირაობით და სადღესასწაულო დღეებში გოგონებს ეკლესიაში უნდა ევლოთ ღვთისმსახურებაზე. როგორც სხვა საეკლესიო-სამრევლო სკოლებში, აქაც ბავშვები იზრდებოდნენ ღვთისმოსავნი, ქრისტიანული სულისკვეთებით.

გოგონები ხელსაქმესაც სწავლობდნენ: ქალის კაბის თუ წინსაფრების კერვას, ქარგვას. ინგილო ქალები თითქმის ისე იცვამდნენ, როგორც მუსულმანი ქალები. იმისათვის, რომ მოსწავლე გოგონები ჩაცმულობითაც დაეახლოვებინათ ქრისტიანულ კულტურასთან, ხელსაქმის სწავლებისას მათ ყურადღებას მიაპყრობდნენ იმას, რომ შესძლებოდათ ისეთი ფორმის კაბები შეეკერათ, როგორც მიღებული იყო ქართველ ქალებში (იქვე).

ამიტომაც იყო, რომ სანაქებო გულმოდგინებით ასწავლიდა სოფიო ყულოშვილი მოსწავლე გოგონებს ხელსაქმეს, სიყვარულით იზიდავდა მათ სკოლისაკენ...

„სოფიო ყულოშვილი, რომელიც სკოლის სამსახურში 1889 წლიდან იმყოფება, დიდიხანია სარგებლობს გამოცდილი და დამსახურებული მასწავლებლის რეპუტაციით, — წერდა კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოება 1912-1913 წლის ანგარიშში. — მასწავლებელს თვითონ უხდებოდა ხელსაქმისათვის საჭირო მასალების შეძენა თავისი მწირი სახსრებით“.

1898 წელს ხელსაქმისათვის დაიხარჯა ნინო გიორგის ასულ ოქროპირიძის მიერ შეგროვილი 33 მანეთი და 33 კაპიკი: მაგრამ იმის გამო, რომ ასეთი მოკრძალებული შესაწირავების იმედიც კი ყოველთვის არ შეიძლებოდა ჰქონოდათ, 1901 წლიდან კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენმა საზოგადოებამ ხელსაქმის მასალებისათვის გამოჰყო 20 მანეთი.

„1897 წელს სოფლის ადგილობრივი საზოგადოება თავისი თანხებით ქირაობდა დარაჯსა და მოჰქონდა შეშა სკოლისათვის, — ნათქვამია 1897 წლის ანგარიშში. — 33 მანეთიდან, რაც სკოლის სასარგებლოდ მოწყობილი ლატარიიდან იყო შემოტანილი, საკუთრად ხელსაქმის მასალების შესაძენად დაიხარჯა 11 მანეთი და 50 კაპ.

1809 წელს კახის სკოლიდან საეკლესიო სამრევლო სკოლების სრულიად რუსეთის საიუბილეო გამოფენაზე გაგზავნილ იქნა ექსპონატები, რომლებმაც დამთვალიერებელთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრეს, აი როგორი მონდომებით ასწავლიდა ხელსაქმეს ინგილო ქალი სოფიო ყულოშვილი. სამწუხაროდ, როგორც აღვნიშნეთ, არსებული სახსრები საკმარისი არ იყო არა მარტო ხელსაქმის მასალების, არამედ სახელმძღვანელოების შესაძენადაც კი. მასწავლებლები იძულებულნი იყვნენ თხოვნით მიემართათ სხვადასხვა პირების, ორგანიზაციებისა და საზოგადოებებისათვის, რომ დახმარებოდნენ მათ სახელმძღვანელოებისა და სხვა ლიტერატურის შეძენაში. 1893 წელს მასწავლებელმა მარიამ სიდამონ-ერისთავმა სკოლის მასწავლებლებისა და მოსწავლეების სახელით, გაზეთ „ივერიის“ მეშვეობით, თხოვნით მიმართა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, წიგნების ყველა ავტორსა და ყველა ქართველს, რომლებიც სულითა და გულით თანაუგრძნობდნენ ასეთ კეთილ საქმეს, დახმარებოდნენ რითაც შეეძლოთ. მ. სიდამონ-ერისთავი აპირებდა სკოლასთან შეექმნა სასულიერო და საერო წიგნების ბიბლიოთეკა.

„ეს მესამე წელიწადია, — წერს სიდამონ-ერისთავი, — რაც ჩვენი სამშობლოს ამ დავიწყებულ მხარეს, „საინგილოში“ მამა ილუმენის ლეონიდის თაოსნობით გაიმართა ქალთა სასწავლებელი. ამ სკოლის დაარსების დედააზრი იყო გამოიყვანოს დედაკაცი იმ პირუტყვის და გადაგვარებულის მდგომარეობიდან, რომელშიაც დღემდის იმყოფება აქ იგი. დღეს ზემოხსენებული სკოლის მოწაფეთა შორის არიან ისეთნი, რომელთაც თავისუფლად შეუძლიათ კითხვა და წაკითხულის გაგება. ამიტომ ფრიად საჭიროა დაარსდეს ამ სკოლასთან წიგნთ-საცავი, როგორც სასულიერო, ისე საერო წიგნებისა. ეს წიგნთსაცავი მასწავლებლის ხელმძღვანელობით ბავშვებს შეაყვარებს კითხვას და შემდეგში სწავლა დამთავრებულ ქალებს მისცემს საშუალებას სკოლის გარეშე, ცხოვრებაშიაც განაგრძონ კითხვა და განვითარება. ამიტომ მივმართავ ყველას, ვისაც რითი შეუძლია, აღმოგვიჩინოს დახმარება“ (მ. სიდამონ-ერისთავი, წერილი რედაქციის მიმართ, „ივერია“, 1893 წ. № 70, გვ. 4).

მ. სიდამონ-ერისთავის ამ მოწოდებას გამოეხმაურნენ საქართველოს ყველა კუთხიდან და მის ფარგლებს გარედან, მოწინავე ქართველები რითაც შეეძლოთ წლების მანძილზე ეხმარებოდნენ ამ სკოლას.

იმავე წელს ბაქოელმა ქართველებმა სკოლას გამოუგზავნეს საბავშვო ჟურნალი „ჯეჯილი“, ხოლო 1899 წელს თბილისელმა პეტრე ყორჩოშვილმა და ზაქათალის ჯარის პორუჩიკმა კონსტანტინე ტარტარაშვილმა თავიანთი ხარჯით გაუგზავნეს ათი ცალი „სიბრძნე ბალავარისა“, ორმოცი ცალი „ცხოვრება ქალწულ მოწამეთა და დედისა მათისა სოფიოსი“, ჟურნალი „ჯეჯილი“, რომლებსაც პატარა გოგონები სიხარულით კითხულობდნენ.

„ამასთანავე მაქვს პატივი ვაცნობო ქართველ საზოგადოებასა და კერძოდ იმათ, რომელთაც საქართველოს ამ დაშორებულ კუთხისა და მის მკვიდრთა სწავლა-განათლებისათვის გული შესტკივათ, — წერდა კახის ქალთა სკოლის გამგე-მასწავლებელი სოფიო ყულოშვილი 1900 წ. გაზეთ „ივერიაში“, — მომავალი იანვრის 14-ში სრულდება ათი წელიწადი, რაც სკოლა დაარსდა, ვინც თვალყურს ადევნებს იქაურობას, იმისათვის თვალსაჩინოა ის კვალი და ცვლილება, რომელიც ამ სკოლამ ინგილო ქალების შინაურს ცხოვრებას დაამჩნია.

14 იანვარს აქ გაიმართება „შობის ხე“, რომელზედაც მოწაფეების გარდა მიპატიჟებული იქნებიან ის ინგილო ქალებიც, რომლებსაც ამ სკოლაში უსწავლიათ, გათხოვებულან და ახლა ინგილოთა ოჯახს სასურველ განათლების შუქსა ჰფენს“.

ქართველი ქალები, არა მარტო ასწავლიდნენ პატარა ინგილო გოგონებს წერა-კითხვას, ტანსაცმლის კერვას, არამედ ზრდიდნენ მათ ქართული ეროვნული სულისკვეთებით, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ მხარეში მცხოვრები ინგილოებისათვის. სკოლა ნამდვილად დიდ როლს ასრულებდა ახლად მონათლულ ინგილო-ქართველთა ცხოვრებაში.

მოსწავლე გოგონები აქტიურად მონაწილეობდნენ სკოლის საქმიანობაში და ემზადებოდნენ „ევროპული ოჯახური ცხოვრებისათვის“: უძღვებოდნენ მეურნეობას, ამზადებდნენ კერძებს, კერავდნენ თეთრეულს, ეჩვეოდნენ სისუფთავესა და წესრიგს. საეკლესიო-სამრევლო სკოლა მათ აძლევდა გარკვეულ ცოდნას, რაც მნიშვნელოვანწილად აადვილებდა თვით ქრისტიანობის გავრცელებისა და განმტკიცების საქმეს“.

მართლაც, თუ შევადარებთ ინგილო მაჰმადიან ქალებს და ინგილოელსავე ქრისტიან ქალებს, ირკვევა, რომ ეს უკანასკნელი, ქრისტიანული რწმენის წყალობით, განათლებით ბევრად წინ უსწრებენ პირველთ.

„ოლქში მოსახლეობა თითქმის 90 ათასს აღწევს (ქალების გარეშე) მოსწავლეა სულ 328, მათ შორის 57 ქართველი გოგონაა და მაჰმადიანი კი არც ერთი არ არის“, — წერდა 1906 წ. ზაქათალის ოლქის უფროსი.

ქრისტიანობა გზას უკაფავდა ინგილოებს ქრისტიანული რუსეთისაკენ; რევოლუციამდე მთელს ზაქათალის ოლქში იყო ერთადერთი განათლებული ალიაბადელი ინგილო-მუსულმანი ქალი ამინათ მამედყზი, რომელმაც ტომსკის ქალთა სკოლა დაამთავრა, კახელმა ინგილო ქრისტიანმა ქალმა ბარბალე აბელის ასულმა ბაირამაშვილმა (1885-1975) კი, პირველმა არა მარტო ინგილო, არამედ საერთოდ ქართველ ქალთა შორის 1915 წელს დაამთავრა პეტროგრადის ქალთა პოლიტექნიკური ინსტიტუტი და გახდა პირველი ქართველი ინჟინერი ქალი.

იგი აპროექტებდა საქართველოს ქალაქების ელექტროქსელებს, ამუშავებდა კავკასიის ენერგოსისტემების გაერთიანებისა და ჩრდილოეთის ენერგოსისტემასთან მათი შეერთების საკითხებს. მისი შექმნილია ლატვიის ელექტრომეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების პროექტი.

ასეთი მაგალითი ძალიან ბევრია.

**მამედ გიულმამედოვი,**
**პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ჟურნალისტი.**

**სურათზე სოფიო ყულოშვილი.**

# გამაფრთხილებელი გაფიცვა გორის რაიონში

**მიმდინარე** წლის 3 სექტემბერს გორის რაიონის სოფელ კარალეთში ქარელის რეგიონულმა გლეხთა კავშირმა დაიწყო ორდღიანი გამაფრთხილებელი საგაფიცვო აქცია. მომდევნო დღეებში საგაფიცვო მოძრაობა მოედო შინდისის, ფხვენისის, ტირძნისის, მეჯვრისხევის, ხელთუბნის სოფლებს.

გაფიცულთა მოთხოვნები გამოხატავს სოფლის, თვით გლეხობის საარსებო ინტერესებს. მოითხოვენ: 1. საკარმიდამო მიწის ფონდის გამოყოფის საკითხის მოწესრიგებას; 2. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების დარეგულირებას; 3. შეზღუდვების მოხსნას რესპუბლიკის გარეთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გატანაზე; 4. იჯარაზე ფიქსირებული გადასახადების დაწესებასა და სახელმწიფო დაკვეთების მინიმუმამდე დაყვანას. 5. მიწის სავარგულების, ტყისა და სხვა ბუნებრივი სიმდიდრეების ზემოდან გადანაწილება-გასხვისების შეწყვეტას, ამ საკითხის გლეხთა კავშირის გამგებლობაში შეტანას; 6. კოოპერატივებისა და დაწესებულებების რეგისტრაციას გლეხთა კავშირში; 7. სასაძოვრო ფონდის სოფლისათვის დაბრუნებას; 8. სოფლის სტატუსის საკანონმდებლო წესით განსაზღვრას. გლეხთა კავშირის უფლებამოსილების გაფართოებას სოფლის სოციალური პრობლემების მოგვარებაში; 9. გორის კავშირგაბმულობის უფროსის გ. სამადალაშვილის განთავისუფლებას.

აქციის მონაწილენი ითხოვენ შეხვედრას საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ბ-ნ ნ. ჭითანავასთან და კპ ცკ მდივანთან ბ-ნ ბ. ჯიქიასთან.

ზემოაღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში საგაფიცვო კომიტეტს განზრახული აქვს მიმართოს პროტესტის უფრო რადიკალურ ზომებს.

მიუხედავად იმისა, რომ აქცია ერთ კვირაზე მეტია დაიწყო, ხელისუფალთაგან არავინ დაინტერესებულა გაფიცულებთან შეხვედრით, მათი მოთხოვნების განხილვით.

შექმნილი მწვავე, ეროვნული მოძრაობის თვალსაზრისით არასასურველი სოციალური მოძრაობა არის ხელისუფლების მიერ სოფლისა და სოფლის მშრომელთა საარსებო ინტერესებისადმი განზრახ წაყრუების, ობიექტური რეალობის შეუფასებლობის შედეგი, რასაც დესტაბილიზაციისაკენ მიჰყავს ქართული სოფელი.

სამწუხაროდ, ქართული საზოგადოებრიობა არ არის ჯეროვნად ინფორმირებული ქართლის შუაგულში შექმნილი რთული სიტუაციის შესახებ მაშინ, როცა გორის რაიონის სოფლის მშრომელთა მიერ დაყენებული მოთხოვნები სრულიად საქართველოს სოფლის ინტერესებს გამოხატავს, ამიტომ მივმართავ საქართველოს ხელისუფლებას, სასწრაფოდ განიხილოს და გადაჭრას გორის რაიონის მშრომელთა მოთხოვნები. ამავე დროს, საჯარო განხილვისათვის გამოაქვეყნოს საქართველოს მიწის კოდექსის პროექტი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ალტერნატიულ ვარიანტებთან და შენიშვნებთან ერთად, დაამტკიცოს სოფლის მშრომელთა ჭეშმარიტი ინტერესების გამომხატველი გლეხური მეურნეობის წესდება ახალი სამეურნეო წლის დაწყებამდე.

**თემურ ღლონტი,**
**სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე.**

## წერილი რედაქციას

# ქრონოლოგიური ნუსხა გრძელი ისტორიის შემოკლებით დასახელებისა

დავიბადე 1905 წელს, ლანჩხუთის რაიონის სოფელ აკეთში. მშობლები ღვთისმოშიშნი, პატიოსანი მშრომელი ადამიანები იყვნენ. მოწაფეობის დროს, ქუთაისში 1923 წელს შევედი ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში. 1924 წლის აჯანყების მონაწილე ვარ. აჯანყების დამარცხების შემდეგ დაიშალა ყველა არალეგალურად მოქმედი პარტიები. ჯაჭვურ მუშაობაზე გადავიდნენ რწმენით აღჭურვილი პატრიოტები. 1937 წელში შედგენილი იყო ჩემი დასაპატიმრებელი საქმე, მაგრამ შემთხვევამ გადამარჩინა. მამაჩემი დაპატიმრებული იქნა 1938 წლის დასაწყისში და აღარ დაბრუნებია ოჯახს.

მონაწილეობას ვღებულობდი მეორე მსოფლიო ომში. ტყვედ ჩავვარდი 1942 წლის სექტემბერში. ქართველმა ემიგრანტებმა და ერის საამაყო შვილმა გივი გაბლიანმა გამოუყვანეს ტყვეთა ბანაკიდან და ჩარიცხულ ვიქენი ქართული ჯარის „ბერგმანის“ ბატალიონში.

1944 წელს ბერლინში აღვადგინეთ ეროვნული ხსნის პარტია, სადაც ჩემთან ერთად მონაწილეობას ღებულობდა ჩემი თბილისელი მეზობელი ვანო ახმეტელი, ქართული გაზეთის თანამშრომელი პაატა საააკაძე, თბილისში დაბრუნების შემდეგ მიხეილ მამულაშვილი, რომელიც გაზ. „თბილისის“ სტილისტად მუშაობდა, გაბუნია და ემიგრანტი, ცნობილი მემამულე გიორგი მაღალაშვილი. გამათავისუფლეს ამერიკის ჯარებმა. ვიცოდი საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება ტყვეების მიმართ და უარი განვაცხადე დაბრუნებაზე. თავისი გაიტანა საბჭოთა დაზვერვამ, მოტაცებით ჩამომიყვანეს რუსეთში. რუსეთიდან საქართველოში, სადაც სამხედრო ტრიბუნამ 25 წელი საკატორღო პატიმრობა მომისაჯა. სასჯელს ყარაღანდაში ვიხდიდი. რწმენისთვის არ მიღალატია, რომელსაც ვანხორციელებდით ჯაჭვური წესით შემოწმებულ სანდო ადამიანებთან.

გავთავისუფლდი ამნისტიის წესით 1956 წელს. დავუბრუნდი ოჯახს თბილისში, მაგრამ ფორმულიარი ფეხდაფეხ დამდევდა. აქაც ჯაჭვური წესით მიმდინარეობდა რწმენის შენარჩუნება.

საქართველოში გაჩაღდა ეროვნული მოძრაობა. გავამჟღავნე ჩემი მიმართულება და, გ. ჭანტურია თავისი ჯგუფით დამიახლოვდა, როგორც ეროვნულ-დემოკრატი გაზეთ ქრონიკაშიც გამოაქვეყნეს ჩემი მათთან მისვლა, მიტინგებზე და კრებებშიც ვღებულობდი მონაწილეობას, წესდებასა და პროგრამასაც გავეცანი. მე მქონდა ჩემი შენიშვნები და შეხედულებები, მაგრამ როცა არავინ მისმენდა, არც არავის ვახვევდი თავზე ჩემს მოსაზრებებს. ვატყობდი უფერული იყო ჩემი მათთან დამოკიდებულება, ვუთმობდი ახალგაზრდებს, პრეტენზიებსაც არ ვუყენებდი არავის, მაგრამ ამით კმაყოფილიც დავრჩი, თურმე პარტიის წევრადაც არ ვყოფილვარ გაფორმებული, თქვენ წარმოიდგინეთ, წევრთა სიაშიც კი ვერ აღმოვაჩინე ჩემი თავი. და როდესაც განხეთქილების უფსკრულმა იჩინა თავი, ეროვნული ბრძოლის შეკავშირების მაგივრად შუღლის და დიქტატორული მეთოდების დანერგვა რომ შევნიშნე, გავწყვიტე ყოველგვარი კავშირი სამარცხვინო მოქმედებებთან. თუ აქამდე პასიურ დამოკიდებულებაში ვიყავი, ამის შემდეგ აქტიურ პოზიციაზე ვდგები და თავგანწირულ დაღუპულთა სახელით მოვითხოვ ეროვნული მთლიანობის აღდგენას.

სურვილი მქონდა ურთიერთობა აღმედგინა უცხოეთში მყოფ ჩემს სულიერ მეგობრებთან და ვთხოვე ირინა სარიშვილს, გადაეცა ჩემი პირადი ბარათი ქართველ პატრიოტ გივი გაბლიანისთვის, მაგრამ არ შემისრულა, ვილაცას გავატანეო, — მიპასუხა, რომელიც სინამდვილეს არ შეეფერება. ემიგრანტი ოდიშარია მოიპარა საბჭოთა დაზვერვამ, თავისი ჯგუფით, რომელიც გასამართლებული იქნა თბილისში, მაგრამ მათი უგზო-უკვლოდ დაკარგვის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. მე დავწერე ამის შესახებ კორესპონდენცია, რომელიც მინდოდა მიმეწოდებინა უცხოეთში მყოფი ქართველ ემიგრანტებისათვის. მოეწონა წერილი ჩემთან ინტერვიუზე მოსულ ეროვნულ-დემოკრატ წერეთელს, წაიღო და იმის მაგივრად, ჭანტურიას რომ გადაეცა პარიზში მყოფ ქართველ ემიგრანტებისათვის, დამიკარგა კიდეც. საბედნიეროდ „ლიტერატურულმა საქართველომ“ გამოაქვეყნა გაზეთის 6/VII ნომერში, რომლითაც ალბათ გაიგებენ უგზო-უკვლოდ დაკარგული ქართველების ბედ-იღბალს.

ჭანტურია ერის სახელით ესაუბრებოდა ქართველ ემიგრანტებს პარიზში და გამორჩა მხედველობიდან, რომ ქართველი ემიგრაციის ქართული გაზეთის რედაქტორი ჩემი ომისდროინდელი მეგობარია. იძულებული ვარ ვაცნობო ჭანტურიას მობრუნების შემდეგ ბარბაროსობა, რომელიც გამოიხატება იმ გაზეთების დარბევაში, რომლებიც ხელს უწყობენ ეროვნულ მოძრაობას და კინოს სახლთან ჩატარებული მიტინგის მიმდინარეობის დროს თავიანთი ჯგუფის წევრებით თავს დაესხნენ მომიტინგეებს. 24 ივნისის დაზარალებულთა ნაწილი საავადმყოფოში მოათავსეს.

მე, როგორც ძველი ეროვნულ-დემოკრატი, სასტიკად ვგმობ ტერორისტულ მოქმედებას და მოვუწოდებ ნამდვილ ეროვნულ-დემოკრატებს, გამოფხიზლდნენ და რწმენის მიხედვით ჩადგნენ ერის სამსახურში.

ვგმობ ეგოიზმსა და შურიანობას და მოვითხოვ მიღებული ვიქნე მრგვალი მაგიდის შემადგენლობაში, როგორც ნამდვილი ეროვნულ-დემოკრატი.

ყურადღება არ მინდა მივაქციო ჩემს ხანდაზმულობას, არც ჯანმრთელობის უქონლობას ვიმიზეზებ, მინდა მთელი ჩემი მონდომებით ვემსახურო ქართველ ერს და მის აღორძინებას, როგორც ეროვნულ-დემოკრატი. ვინც ჩემს მოსაზრებას იზიარებს და ნამდვილი ეროვნული დემოკრატია, ამომიდგეს გვერდში და იმათთან ერთად შევუდგები მძიმე ჭაპანის წევას. დღევანდელ ქართულ უღელში შებმა დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს თითოეულ ჩვენგანს. ვერ გვიშველის მეცნიერებზე დაყრდნობა, პრაქტიკამ მეტი სიბრძნე დაგვიგროვა და თავიდან ბოლომდე ყველაფერი ხელახლა არის გასაკეთებელი.

დღეის შემდეგ ჩემს თავს ვთვლი მრგვალი მაგიდის წევრად და თავს ვალდებულად ვთვლი კუბოს ფიცრამდე თავდაუზოგავად ვიმოქმედო ქართველი ერის თავისუფლებისათვის და აყვავებისათვის.

პატივისცემით
**პოლიო ბოზელია**
ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი 1923 წლიდან.

**რედაქციის მინაწერი:**

**ამ წერილის ავტორი ხანდაზმული, 85 წლის მრავალჭირნახული ფრიად პატივცემული კაცი გახლავთ. მის მიერ დასახელებული ფაქტები თუ რამდენად შეეფერება სინამდვილეს, ამის შესახებ, ალბათ თვით ადრესატები გვაცნობებენ.**

## მხარდამჭერთა ყრილობა

ამა წლის 7-8 სექტემბერს კინოს სახლის დიდ დარბაზში გაიმართა საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის (კოდე-პა) მხარდამჭერთა ყრილობა. ყრილობას ესწრებოდნენ საქართველოს პრაქტიკულად ყველა კუთხის წარმომადგენელნი, რომლებმაც მანამდე საკუთარი ხელმოწერით დაადასტურეს საქართველოს ფაქტიური კოლონიური მდგომარეობა, მონაწილეობდნენ აგრეთვე კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის წევრები.

პირველ დღეს კო-დე-პას მხარდამჭერთა ყრილობამ განიხილა საქართველოს კოლონიური უღლიდან გათავისუფლების გზები და იმავ დღესვე დაადგინა, რომ გათავისუფლების გზა საქართველოს კოლონიური სტატუსის აღიარებაზე გადის.

მეორე დღეს ყრილობამ ურჩია პარტიას, რომ მან აუცილებლად მიიღოს მონაწილეობა უზენაესი საბჭოს არჩევნებში (მიუხედავად რეგისტრაციის გავლისა, კო-დე-პას არ ჰქონდა მანამდე გადაწყვეტილი არჩევნებში მონაწილეობის საკითხი).

განიხილეს ელცინისა და გუმბარიძის ხელშეკრულება, რომელიც ძალაში შესვლის შემდეგ გამოქვეყნდა. ყრილობამ უარყოფითად შეაფასა თვითონ ხელშეკრულება, თუმცაღა უარყო რაიმე აქციის ჩატარება გაუქმების მოთხოვნით.

ყრილობამ შეიმუშავა მიმართვები ბატონ ელცინსა და ბატონ გუმბარიძისადმი.

ამით ყრილობამ მუშაობა დაამთავრა, ხოლო მისმა მონაწილეებმა მოაწყვეს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული საპროტესტო მსვლელობა კინოს სახლიდან უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს კომპარტიის ცკ-ის შენობებისაკენ.

მსვლელობის მონაწილეებმა ერთობლივი წერილი გადასცეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს. წერილი მოიცავს მოთხოვნას, რომ უახლოეს დღეებში მოეწყოს შეხვედრა ბატონ გ. გუმბარიძესა და საზოგადოების წარმომადგენელთა შორის, სადაც პასუხი გაეცემა იმ კითხვებს, რომლებიც წამოიჭრა რუსეთ-საქართველოს უკვე დადებული ხელშეკრულების ირგვლივ.

**ა. ბოზოლიძე**

**რსფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონ ბორის ელცინს**

**ბატონო თავმჯდომარევ!**

**დაბნეული ვართ რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების ხელმოწერის პერიპეტიებით. გვითხარით, თუ შეიძლება, როგორ მოხდა, რომ თქვენ, ქართველთათვის უაღრესად პატივსაცემმა პიროვნებამ, ადამიანმა, რომელმაც 9 აპრილის შემდგომ მძიმე პერიოდში ჩვენი ჭირ-ვარამი გაიზიარა, ადამიანმა, რომლის გამარჯვებებიც ახე იმედისმომცემად ეჩვენებოდა ქართველ ხალხს, ერთის მოქნევით გააქრეთ უკეთესი მომავლის რწმენის ყველა ილუზიები?!**

**მოგაგონებთ, რომ საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ წელს კანონის სახით დაადგინა, რომ 1921 წელს მოხდა საბჭოთა რუსეთის მიერ დემოკრატიული საქართველოს ინტერვენცია, ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია, მიღებულ იქნა დადგენილება, რომ ყველაფერი ეს ეცნობოს რსფსრ უზენაეს საბჭოს შესაბამისი რეაგირებისათვის. ესაა თქვენი რეაგირება?**

**საქართველოსთან რუსეთს ომი არ ჰქონია!**

**საზღვრებზეც დავა არ გვქონია!**

**ძალიან გვინდა ვიფიქროთ, რომ თქვენ შეცდომაში შეგიყვანეს სულ ცოტა ხნის წინ თქვენს მიერ დატოვებული პარტიის წარმომადგენლებმა.**

**უმორჩილესად გთხოვთ, გამოითხოვოთ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს წლევანდელი სესიების მასალები, შეისწავლოთ ისინი პიროვნად და გააკეთოთ შესაბამისი განცხადება.**

**იმედი გვაქვს, რომ პროგრესული ადამიანი, დემოკრატი ელცინი დაგმობს 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ ჩადენილ აგრესიას საქართველოს მიმართ და ამ კეთილშობილური ჟესტით აღადგენთ თქვენსა და ჩვენს შორის დარღვეულ ურთიერთკეთილგანწყობის ვითარებას.**

**ღრმესი კეთილმოსურნეობით**
**საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია**
8 სექტემბერი. 1990 წელი.

**საქართველოს სახალხო პარტიისა და სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაციის)**

# მიმართვა

**მთელი ქართველი ერისადმი, რესპუბლიკის კანონიერი მოსახლეობისადმი**

თანამემამულენო!

ღვთისშვილნო!

გულისყურით ვეცნობით რა სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციათა უკანასკნელი დროის განცხადებებს, მიმართვებსა თუ მემორანდუმებს, თანდათან გვიძლიერდება შეშფოთების გრძნობა საქართველოს ეროვნული კონგრესისა და უზენაესი საბჭოს არჩევნების წარმატებით ჩატარების, მაშასადამე, ჩვენი სამშობლოს მომავლის გამო.

ვერა და ვერ მივაღწიეთ საერთო-სახალხო თანხმობას, საერთო ეროვნულ კონსოლიდაციას, რაც ეგზომ ჰაერივით აუცილებელია ჩვენი სანუკვარი მიზნის აღსასრულებლად — საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად.

პირიქით —

ძლიერდება კონფრონტაცია, ოფიციალურ ხელისუფლებასა თუ ოპოზიციას, და, რაც ყველაზე უფრო სამწუხაროა, თვით ოპოზიციურ ძალთა შორის.

ახლა, როცა თითოეული დღე, საათი და წუთიც კი გადამწყვეტია საქართველოს მომავალი ბედ-იღბლისათვის, ვფიქრობთ, აღარ დაგვრჩა დრო ურთიერთმიმართ ბრალდებებისა და პრეტენზიების წასაყენებლად, ანგარიშგასასწორებლად.

ჩვენ, ყველამ ერთად და თვითეულმა ცალ-ცალკე, — კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ, რომ ყველანი — ოპოზიციონერებით დაწყებული თუ კომუნისტებით დამთავრებული, — უპირველეს ყოვლისა, ვართ ქართველები და მხოლოდ შემდეგ — ამა თუ იმ ორგანიზაციის წევრები.

სწორედ ამიტომ, როცა საქართველოს ბედ-იღბალი წყდება, უნდა ვიფიქროთ, თუ რა არგებს ჩვენს სამშობლოს და ვიმოქმედოთ ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების შესაბამისად.

თუმცა სიტყვით ყველანი ვაღიარებთ, რომ ვცნობთ მხოლოდ მშვიდობიანი პარლამენტური, დემოკრატიული, პოლიტიკური ბრძოლის მეთოდებსა და ხერხებს, საქმით, რა დასამალია და, ხშირად საპირისპიროდ ვიქცევით, მივმართავთ რა აშკარა თუ ფარული ძალისმიერ მოქმედებათა არსენალს.

ნუ დავივიწყებთ ძველ, ცხოვრებისეული მწარე გამოცდილებით ნასაზრდოებ სიბრძნეს: როცა ვინმეს ებრძვი, ძალაუნებურად მას ემსგავსები კიდეც.

ხომ ყველასათვის დღესავით ნათელია ერთიანი ოპოზიციური საარჩევნო ბლოკის შექმნის აუცილებლობა?

ხომ ყველასათვის დღესავით ნათელია, რომ ყველა ქართველი, საქართველოს ყველა მოქალაქე უნდა ებრძოლოს საერთო მტერს — იმპერიულ-ადმინისტრაციულ სისტემას?

მაგრამ რატომღაც, ჭეშმარიტების შესაბამისად ვერ ვმოქმედებთ.

ჩვენ გულისტკივილამდე გვესმის, რომ საქართველოში დღეს შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება არ ბადებს სასიკეთო იმედს ეროვნულ-განმათავისუფლებელი დემოკრატიული ძალების გასაერთიანებლად, მაგრამ ჩვენ ჩვენსას ვიტყვით და გულს მაინც მოვიოხებთ...

ერთი სიტყვით:

ვინაიდან ძნელი წარმოსადგენია, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციათა საარჩევნო ბლოკების რეგისტრაციისათვის კანონით დადგენილ მოკლე დროში მოხერხდეს ერთიანი ოპოზიციური საარჩევნო ბლოკის ჩამოყალიბება,

ვინაიდან ოპოზიციურ ძალთა შორის გაუთავებელი გაუგებრობა-უთანხმოებანი ხალხს უძნელებს არჩევანს, ვის მიემხროს—ოფიციალურ ხელისუფლებას (რომელიც, როგორც ყოველთვის, მონოლითურია) თუ ოპოზიციას,

ვინაიდან პრესაში ბოლო ხანს გამრავლებული არცთუ ისე კორექტული პუბლიკაციებისა თუ ანტიდემოკრატიულ და ანტიეროვნულ ძალთა მოქმედების შედეგად მოსალოდნელია საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების ჩაშლა,

ვინაიდან ყოველივე ეს წყალსასხამს მხოლოდ ჩვენთვის კარგად ნაცნობი საერთო მტრის წისქვილზე,

ჩვენი აზრით, საქართველოს ეროვნული კონგრესისა და უზენაესი საბჭოს არჩევნების პერიოდში:

1. უნდა მივაღწიოთ საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების სტაბილურობას;

2. არჩევნებში მონაწილე ორგანიზაციათა მესვეურებმა და წევრებმა უნდა შეწყვიტონ აშკარა თუ ფარული ურთიერთ დისკრედიტირება — კომპრომეტირების კამპანია და მცდელობა;

3. უახლოეს დღეებში უნდა მოწვეულ იქნეს არჩევნებში მონაწილე ოპოზიციურ პარტიათა ლიდერების თათბირი ერთიანი საარჩევნო ტაქტიკის შემუშავების მიზნით.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

**ზაზა სიხარულიძე,**
**საქართველოს ეროვნული ფორუმის წევრი, საქართველოს სახალხო პარტიის სპიკერი, სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაციის) პრეზიდენტი**

**სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების პარტიის**

# განცხადება

სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების პარტია მიმართავს ტერიტორიალური ორგანიზაციებისა და ავღანეთის ვეტერანთა რეგიონალურ საბჭოებს მ/წ 15 სექტემბრამდე წარმოადგინონ კანდიდატურები პარტიული სიით საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. სიაში შეიძლება შეყვანილ იქნენ უპარტიოებიც.

ამასთან, წინა საარჩევნო კომპანიის ჩასატარებლად პარტიას ესაჭიროება მატერიალური მხარდაჭერა. მოვუწოდებთ საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და კერძო პირებს, ყველა მხარდამჭერს და გულშემატკივარს შესაძლებლობისდაგვარად დაეხმაროს პარტიას.

**ჩვენი ანგარიშია: საქართველოს საგარეო ეკონომიკური ბანკი ა/ნ 70 000 582 ცნობებისათვის მოგვმართეთ: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 19, ოთახები № 45, 46, 47; ტელეფონები: 99-68-24; 98-21-84; 99-80-09;**

# პატივცემულო რედაქცია

**მრგვალი მაგიდის პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და ინდივიდუალურ წევრებს აუცილებელი განმარტებისათვის საჭიროდ მიაჩნიათ განაცხადონ შემდეგი:**

**ჩვენ კარგად ვუწყით დღევანდელ დაძაბულ სიტუაციაში რაოდენ აუცილებელია ურთიერთმიმართებაში კეთილი ნების გამოვლინება, პოლიტიკური, ეროვნული თუ რელიგიური შემწყნარებლობა. მიუხედავად ამისა, მრგვალი მაგიდის პოლიტიკურ ორგანიზაციათა მემორანდუმში საჭიროდ მივიჩნიეთ სახელდახელოდ შექმნილ „პოლიტიკურ“ ორგანიზაციათა „სტალინისა“, „ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის“ და მათ ზოგიერთ ორგანიზატორთა, არც თუ ისე შორეული პოლიტიკური წარსულის გახსენება. სწორედ მსგავსი პოლიტიკური წარსულის მქონე პირთა ამჟამინდელი ახლებური პოლიტიკური თუ მოქალაქეობრივი აქტივობა და ის, რომ ამ ორგანიზაციებმა საბჭოთა სასამართლოს წყალობით, საარჩევნო კანონის დარღვევით მიაღწიეს წინასაარჩევნო რეგისტრაციას, ბადებს საფუძვლიან ეჭვს, ამ მეტამორფოზათა ხელოვნურობაში.**

**საპასუხო წერილში („ნუ გადავალთ ზღვარს“ გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“ 18. 09. 90 წ.), ბ-ნი რისმაგ გორდეზიანი წერს, რომ ის საერთოდ არ ჩარეულა 1977 წ. მარტში უნივერსიტეტში გამართულ ამ მართლაც სამარცხვინო დისკუსიაში, და რომ გამომსვლელთა აზრები საკმაოდ განსხვავებული იყო. თუმცა სარედაქციო მინაწერი ხაზგასმით აღნიშნავს გამომსვლელთა ერთსულოვნებას. ასეთ შემთხვევაში უნივერსიტეტის პროფესორსა და პარტიული კომიტეტის მდივანს დღემდე შესაბამისი რეაგირება უნდა მოეხდინა რედაქციის ამ „ცილისმწამებლურ“ მინაწერთან დაკავშირებით.**

**ახლა ნამდვილად არ არის ერთმანეთის ბიოგრაფიათა ქექვისა და ბრალდებების დრო, ამიტომ ვაქვეყნებთ 1977 წლის 1 აპრილის გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილი წერილის „ცილისმწამებლებმა და პროვოკატორებმა პასუხი უნდა აგონ“ — სარედაქციო მინაწერს იქ ჩამოთვლილ სხვა პიროვნებათა გვარების გარეშე. დაე, თვით მკითხველმა განსაჯოს მტყუან-მართალი.**

**მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციები და ინდივიდუალური პირები.**

**რედაქციისაგან:**

გუშინწინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა რექტორატის გაფართოებული სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ პარტიული კომიტეტის წევრები, ფაკულტეტის დეკანები, პროფესორ-მასწავლებლები.

დამსწრენი პრესაში გამოქვეყნებულ წერილებთან ერთად გაეცნენ ზ. გამსახურდიას და მის თანამზრახველთა ცილისმწამებლური და პროვოკაციული ხასიათის მასალებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მისი ზოგიერთი პროფესორისა და მასწავლებლის შესახებ.

თავიანთ გამოსვლებში ყველა ერთხმად გამოსთქვამდა გულისწყრომას და აღშფოთებას იმ აშკარა ანტისაზოგადოებრივი საქმიანობის გამო, რასაც ზ. გამსახურდია და მისი თანამოაზრენი ეწევიან. ეს ვაჟბატონები „ადამიანის უფლებების დამცველთა“ სახელით გამოდიან და თავი ისე მოაქვთ, თითქოს ჰუმანური და მამულიშვილური გრძნობები ამოქმედებდეთ, სინამდვილეში კი ცილისმწამებლური და დემაგოგიური გამოხტომებით საკუთარი სამშობლოსა და ერის წინააღმდეგ გამოდიან.

თავიანთ სამარცხვინო ხელნაწერ გამოცემას მათ „საქართველოს მოამბე“ შეარქვეს, ეს ფაქტი უკვე მიუთითებს იმაზე, რომ ამით დაუპირისპირდნენ მეცნიერებათა აკადემიის ცნობილ პერიოდულ გამოცემას, რომელიც მეცნიერთა შრომებსა და გამოკვლევებს აქვეყნებს. პირდაპირ დაუშვებელი საოცრებაა ამ სახელწოდებით გამოდიოდეს „სამიზდატი“, რომელშიც ანტისაბჭოთა მასალებია მოცემული და ამავე დროს ყოველგვარი მონაჭორი მეცნიერ მუშაკების ერთი ნაწილის პრესტიჟის ხელყოფის მიზნით.

ზ. გამსახურდიას მთელი პირადი ცხოვრება იმის მაგალითია, რომ მას მუდამ აკლდა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა. იგი ყოველთვის რაღაცით უკმაყოფილო და უმადური იყო, მიუხედავად იმისა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მას ყველა პირობა ჰქონდა შექმნილი მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის. უნივერსიტეტის სახელოვან კოლექტივში იგი მიიღეს მამის, კონსტანტინე გამსახურდიას თხოვნით, მაგრამ მან არც მამის ამაგი და არც კოლექტივის მზრუნველობა არ დააფასა — სისტემატურად აცდენდა ლექციებს, ქედმაღლობდა, ერთდროულად გადამეტებულ პატივმოყვარეობასა და უპრინციპობას იჩენდა, ავადმყოფურად ღებულობდა ამხანაგების სამართლიან შენიშვნებსა და რჩევა დარიგებებს. და ბოლოს, ისე დაეცა, რომ ცილი დასწამა კოლექტივსა და კოლეგებს.

ახლა უკვე უცილობლად დადასტურებულია, რომ ზ. გამსახურდია უცხოეთის დაზვერვისა და ანტისაბჭოთა იდეოლოგიური ცენტრების აგენტობასა და ინფორმატორობას დაჩვეული უსირცხვილოდ ცილს სწამებს ცნობილ მეცნიერებს, სახელმწიფო მოღვაწეებს, მწერლებს.

**დროა საგნებს თავისი სახელი ვუწოდოთ: ზვიად გამსახურდიასა და მის თანამოაზრეთა მოქმედება სამშობლოს, სოციალიზმის წინააღმდეგ მოქმედებად უნდა შეფასდეს და მათ მიმართ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები უნდა იქნას განხორციელებული.**

**ასეთია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი და სახელოვანი კოლექტივის წევრთა საერთო აზრი.**

„კომუნისტი“ 1.04.77 წ.

**„ახალგაზრდა ივერიელის“ მინაწერი:**

**„კომუნისტის“ სარედაქციო მინაწერში ამოღებულია სხდომის მონაწილეთა გვარები. მათ შორისაა მოხსენებული ბატონი რისმაგ გორდეზიანი.**

**მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციებისა და ინდივიდუალურ წევრთა**

# განცხადება

ძვირფასო მეგობრებო! კვირას, 16 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე საქართველოს ეროვნულ სტადიონზე (ყოფილი „დინამოს“ სტადიონი) მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციები და ინდივიდუალური წევრები აწყობენ წინასაარჩევნო საკონსულტაციო სახალხო მიტინგს.

გთხოვთ მობრძანდეთ და ერთად ვიმსჯელოთ ერისათვის საჭირბოროტო საკითხებზე.

# ამაღლდი, ჭერო!



ძველებისაგან გამიგონია: — სახლის საძირკვლის ჩაყრისას ფუძის ანგელოზს დალოცავენ ხოლმე, ახალმოსახლეობისას ჭერისასო,... მე ვიცოდი, რომ ახალმოსახლეობის ზეიმზე მივდიოდი, ჭერის ანგელოზის კალთის დალოცვის ზეიმზე, მაგრამ, რაც იმ დღეს მასპინძელმა საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის დამსახურებულმა ანსამბლმა „რუსთავმა“, სტუმრებს შესთავაზა, ეს ზეიმზე მეტი იყო, გაცილებით მეტი... ეს იყო თითქმის ფანატიურ რიტუალამდე ამაღლებული დღესასწაული — დღე სასწაული...

...ყველაფერი იყო, რაც ზეიმს უხდება, იყო ულამაზესი ჰარმონია ცეკვისა და სიმღერისა, იყო უამრავი ძვირფასი სტუმარი, იყო მილოცვები და სურვილები, ყვავილებიც იყო და წმინდა სანთელთა ციმციმიც და რაც მთავარია, იყო საკუთარ ჭერქვეშ ყოფნის სიხარული, რომელსაც ოცდაორი წელი ელოდნენ, ამ ხნის მანძილზე ხან ვისი ხიზნები იყვნენ და ხან ვისი, სულ ბოლოს და ალბათ ყველაზე დიდხანს თბილისის ბავშვთა მხატვრული აღზრდის სახლი იყო მათი გულღია მასპინძელი, დღეს კი... დღეს ანსამბლ „რუსთავის“ ჭერისა და ფუძის ანგელოზმა ამ ლამაზ არქიტექტურულ შენობაში დაივანა, რომელიც ასე შეეწყო რუსთავის საერთო სახეს...

...უწყვეტ ნაკადად მოედინება სტუმართა ჯგუფები მესხიშვილისა და ლეონიძის ქუჩების შესაყარისაკენ, რათა კერა დაელოცათ მთელი საქართველოსათვის საყვარელი „რუსთავისათვის“... შენობა კი მართლაც დიდებულია, სიხარულს ვერ მალავენ ანზორ ერქომაიშვილი და ანსამბლის ქორეოგრაფი ფრიდონ სულაბერიძე, მარჯვენას უქებენ მშენებლებს, მადლობას უხდიან ქალაქის ხელმძღვანელობას, ვისი უშუალო მონაწილეობითაც რეკორდულ დროში, ერთ წელიწადში მილიონი მანეთის სამუშაოები შესრულდა; პროექტი „სპეცსახმეტალურგპროექტის“ არქიტექტორების მიერ იქნა შედგენილი, მერე ჯერი მშენებლებზე მიდგა და მათაც სიტყვა არ გატეხეს; დიდია ქალაქის კულტურის განყოფილების წვლილიც საქმის კეთილად დაგვირგვინებაში...



და აჰა, ისიც, ორსართულიანი თეთრი ხომალდი „რუსთაველებისა“, რომელმაც ნავთსაყუდელი თანამოსახელე ქალაქში შეარჩია და აქედან მოხდება მისი ყოველი გასვლა მსოფლიო გზებზე, აქ ამ შენობაში დაიზრდებიან მომავალი თაობებიც...

საერთო წარმოდგენის შესაქმნელად, მოგახსენებთ, რომ შენობის პირველ სართულზე განლაგებულია მოცეკვავეთა ორიგინალური აივნებიანი სარეპეტიციო დარბაზი, ბარი, საუნა, აუზი, საშხაპეები, კომფორტული გასახდელები ვაჟებისათვის და საწყობი.

მეორე სართულზეა დირექციის ოთახები, მომღერალთა სარეპეტიციო დარბაზი, გასახდელი გოგონებისათვის და მშვენება მთელი შენობისა — ანსამბლ „რუსთავის“ ისტორიის მუზეუმი, სადაც გამოფენილია ყველა ის ჯილდო, მედალი თუ დიპლომი, რომელიც ოცდაორწლიანი ისტორიის მონაპოვარია, აქვეა აფიშებისა და სარეკლამო ფურცლების ნიმუშებიც და ანსამბლის ისტორიის ტკივილიანი ფურცლებიც — ხსოვნის კუთხეც, საიდანაც ჰამლეტ გონაშვილის, გაიოზ არაბაშვილის და 1977 წელს ტრაგიკულად დაღუპულ წევრთა სურათები შემოგვცქერიან... და ისინი კვლავ ერთად არიან, ერთ ჭერქვეშ, საკუთარ სახლში, მათ შორის მეგზური სიმღერაა, ზეციურ და მიწიერ ხმათა საოცარი ჰარმონია, ხმები ცად წასული სულებისაც და მიწაზე დარჩენილებისაც, და... ისტორია გრძელდება...

დგანან აშოლტილი, ჯიშიანი გოგო-ბიჭები, გრძნობ რა ძლიერია ქართული გენი და გიხარია, გიხარია ათასმეერთედ, რომ ხარ ქართველი, ამათი მოდგმის!..

...დარბაზში ქართული საგალობლის ჰანგები დაირხა, დაიწყო ფუძის კურთხევის ცერემონიალი, რუსთავის, ვახტანგ გორგასალის ეკლესიის მოძღვარმა მამაო დიმიტრიმ დალოცა და აკურთხა ხელოვნების ახალი კერა, სანთელსაკმევლით გაიქოლინთა, ჰაერი, დაიწყო მილოცვები... საქართველოს კულტურის მინისტრი ვალერი ასათიანი, რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე, პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი, მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი, დიდი ქართველი ვიქტორ ხომერიკი, თს უნივერსიტეტის პრორექტორი ვახტანგ გოგუაძე, მხატვარი თეიმურაზ მურვანიძე, მრავალმა და მრავალმა სხვა საპატიო სტუმარმა გაიზიარა მასპინძელთა დიდი სიხარული... და რა თქმა უნდა ქართული ხალხური ცეკვის „უპირველესმა დიასახლისმა“ ნინო რამიშვილმაც, რომლის ყოველი სიტყვა, მისი ყოველი რჩევა განსაკუთრებით ძვირფასი იყო ანსამბლის ყოველი წევრისათვის...

ბატონი ანზორ ერქომაიშვილი, ძლივს დავიმარტოხელე ორიოდე სიტყვის სათქმელად:

— რა უნდა გითხრათ, ჩვენი სიხარული იმდენად დიდია, რომ არც კი ვიცი რით დავიწყო, ეს სახლი ალბათ ღირდა ამდენ ლოდინად, ნამდვილად ღირდა, მადლობა ყველას ვინც ეს სიხარული გვაჩუქა... გინდა გითხრათ, რომ ამ ტიპის შენობა საბჭოთა კავშირში არ არის, საზღვარგარეთაც სულ რამდენიმეა... ნიშანდობლივია, რომ დღეს ჩვენს ანსამბლში ცეკვავს ამერიკელი გოგონა რებეკა, რომელიც ჩვენი ხელოვნების სიყვარულმა მოიყვანა ჩვენთან, მას გადაწყვეტილი აქვს პროფესიონალურ დონეზე შეისწავლოს ქართული ხალხური ცეკვები და შემდეგ იქ, ოკეანისგაღმა გაუწიოს მას პოპულარიზაცია...

ომახიანი მრავალჟამიერი, ცეცხლოვანმა ცეკვამ შეცვალა, ცეკვას „ჩაკრულო“ მოჰყვა და იდგა დღესასწაული ხმათა და ფერთა... ცრემლი უბრწყინავდა თვალზე ბატონ ვიქტორ ხომერიკს, ალტაცებას ვერ მალავდა ქალბატონი ნინო, დარბაზში იდგა საკმევლის სუნი და ზეიმი ქართული სულის, და არ შეიძლებოდა საოცრად ამაყი არ ყოფილიყავი ყველაფერ ამის გამო.



...ძალიან თბილი ახალმოსახლეობა ჰქონდა ანსამბლ „რუსთავს“ რუსთავში, ძალიან ლამაზები იყვნენ ანსამბლის წევრები ყელმოღერებულიანი და ფეხცეცხლოვანი გოგო-ბიჭები, ღელავდა ანსამბლის დირექტორი ალეკო ასლანიშვილი, სტუმრებს ჩვეული ქართული ღიმილით ეგებებოდნენ ბატონი ანზორი და ბატონი ფრიდონი, მაღლა იწევდა ჭერი, ხარობდა ფუძის ანგელოზი...

...არ ვიცი ვინ რა ჩაუთქვა ხელში აკიაფებულ სანთელს იმ დღეს, მაგრამ გარკვევით ერთი სურვილი, ერთი თხოვნა მესმოდა მაინც ხმამაღლა თქმული.

ღმერთო! გაუმარჯვე საქართველოს!

ღმერთო! დღეგრძელი ჰყავ ხალხი, რომელსაც ასეთი შვილები ჰყავს!



**ფერიდე ბიწაძე.**

**გიგი ჯანიკაშვილის ფოტოები.**

# ქართული ლექსის კომპიუტერული კვლევისათვის

ამას წინათ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ლექსმცოდნეობის სემინარზე მოისმინეს ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის გურამ თევზაძის მოხსენება ქართული ვერსიფიკაციის კომპიუტერული კვლევის მეთოდოლოგიაზე.

მომხსენებელმა სტრუქტურათა თეორიის პოზიციებიდან განიხილა ქართული ვერსიფიკაციის სამი ფუნდამენტური პრობლემა: სისტემის სტრუქტურული ანალიზი, დიაქრონიის ანალიზი და სისტემის ტიპოლოგიური კვალიფიკაცია.

ქართული ლექსის ბუნების შესახებ მომხსენებელმა წამოაყენა მეტად საინტერესო ჰიპოთეზა. მან აღნიშნა, რომ ქართული ლექსწყობის სტრუქტურული მოდელიდან გამომდინარე, ის არ შეიძლება, ეკუთვნოდეს არც ერთ ცნობილ სალექსო სისტემას. ქართული ლექსი ვერსიფიკაციულად განსაკუთრებულია, რთული სტრუქტურული აგებულებისაა და შეიცავს (იმ აზრით, რომ არ გამორიცხავს) უფრო ელემენტარულ სტრუქტურებს (მაგ. სილაბურსა და ტონურს), რომლებიც უნდა განვიხილოთ არა როგორც სისტემის განმსაზღვრელი ფენომენები, არამედ როგორც რიტმული სიჭარბის გამოვლინებები.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ქართულ ლექსწყობას მსოფლიო პოეზიაში დაეძებნოს ანალოგიები. ხოლო მათი არარსებობის შემთხვევაში, ქართული ლექსწყობა აღმოჩნდება უნიკალური — რიტმული სტრუქტურის მხრივ.

დასასრულს მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შემდგომი კვლევისათვის მან შეადგინა ქართული ლექსის სტრიქონის რიტმული სტრუქტურის მათემატიკური მოდელი, მის საფუძველზე კი — კომპიუტერული პროგრამა ბეისიკის საპროგრამო ენაზე. მან დაუმატა, რომ პერსპექტივაში შეიძლება, გადაწყდეს ლექსის რიტმული სტრუქტურის ობიექტური შეფასების პრობლემაც ინფორმატიკული ესთეტიკის მეთოდების გამოყენებით.

მოხსენებამ დიდი ინტერესი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია.

ამავე სემინარზე მოისმინეს მეორე მოხსენებაც. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა თამარ ბარბაქაძემ დამსწრეთ მოუთხრო ლექსმცოდნეთა ოცდამეორე საკავშირო კონფერენციის შესახებ. მან განიხილა კონფერენციაზე წარმოდგენილი თითქმის ყველა საინტერესო მოხსენება, რამაც გარკვეული წარმოდგენა შეუქმნა მსმენელებს ლექსმცოდნეობის თანამედროვე დონის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კონფერენციაზე წარმოდგენილ მასალებში სჭარბობდა მათემატიკური სტატისტიკის მეთოდებზე დაყრდნობით შესრულებული გამოკვლევები.

**ნინო ნაკუდაშვილი**

# ბლოკებად გაერთიანების აუცილებლობის შესახებ

არჩევნებში მონაწილე პარტიების მრავალრიცხოვნობასთან დაკავშირებით (რეგისტრირებულია 35 პარტია), აუცილებელია გაანალიზდეს მოქმედი საარჩევნო კანონის ერთი არსებითი ნაკლი და გამოინახოს მისი გამოსწორების საშუალება.

არჩევნების მაჟორიტარული წესის ძირითადი უარყოფითი მხარე ცნობილია: იკარგება ხმების მნიშვნელოვანი რაოდენობა; უმცირესობის პოზიცია რაგინდ ლოგიკური იყოს, უგულვებელყოფილი რჩება და არის იმის შესაძლებლობაც, რომ გარკვეული რაოდენობის საარჩევნო ტერიტორიალურ — ერთეულებში ერთმა მხარემ მიიღოს ხმების მეტი რაოდენობა მეორე მხარესთან შედარებით, ხოლო მანდატების რაოდენობის განაწილება მოხდეს პირიქით. მაგალითად: თუ ერთი პარტია მიიღებს ოთხ ოლქში 51 — 51%-ს ხმებისას, ხოლო მეხუთე და მეექვსე ოლქში 5-5%-ს, მას გარანტირებული აქვს 4 მანდატი. იმავე დროს თუ მეორე პარტია ყველა ამ საარჩევნო ოლქში იღებს 42—48%-ს (საშუალოდ 45%) ხმებისას, მიუხედავად იმისა, რომ ექვსივე საარჩევნო ოლქში (მან აშკარად მეტი ხმები მიიღო (დაახლოებით 24%-ით), ვიდრე პირველმა პარტიამ, მას (მეორე პარტიას) არცერთი მანდატი არ მიეცემა. აქ მოტანილი ნაკლოვანებები ჩვენს პირობებშიც რჩება ძალაში, მაგრამ ისინი მაინც ნაკლებ არსებითია არჩევნების მაჟორიტარულ — პროპორციული წესის ერთდროულად გამოყენების გამო.

მანდატების განაწილება პროპორციული წარმომადგენლობის წესით ბევრად უფრო დემოკრატიულია, თუმცა მასაც აქვს გარკვეული ხარვეზები, რომელთაგან ჩვენი პირობებისათვის უმთავრესია ამომრჩეველთა ხმების 4%-იანი ლიმიტი. ამ წესის თანახმად არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც მიიღებს არჩევნებში მონაწილე მოსახლეობის (მთელი რესპუბლიკის ტერიტორიაზე) ხმების 4%-ზე ნაკლებს, კარგავს დეპუტატის მანდატის მიღების უფლებას და მისთვის მიცემული ხმები დაკარგულად ითვლება. რადგან არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე მოქალაქეთა რაოდენობა თითქმის სამ ნახევარი მილიონია, მისი 4% 140000 შეადგენს. სავარაუდოთ თუ ჩავთვლით, რომ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს მოსახლეობის 80% (2 მილიონ 800 ათასი კაცი), მაშინ ხმების 4%-ნი ლიმიტი 112000-დე შემცირდება. არჩევნებში მრავალი პარტიის მონაწილეობის შემთხვევაში ცხადია იზრდება რიცხვი იმ პარტიებისა, რომლებიც ხმების საერთო რიცხვის 4%-ზე ნაკლებს მიიღებს და რის გამოც ეს ხმები დაიკარგება. მაშასადამე, მიუხედავად დაკარგული ხმების საერთო რაოდენობისა (როცა მას მრავალი პარტია კარგავს), ამომრჩეველთა ეს ნაწილი ვერავითარ გავლენას ველარ ახდენს არჩევნებზე და ერთმევა წარმომადგენლობა არჩეულ საკანონმდებლო ორგანოში. აღნიშნული ხმების დაკარგვის არანაკლებ უარყოფითი მომენტია ის, რომ დაკარგული ხმების შესაბამისად იზრდება მანდატების დამატებითი რაოდენობა იმ პარტიებისათვის, რომლებმაც 4%-ზე მეტი ხმების რაოდენობა დააგროვეს. მსგავს შემთხვევებში მოსალოდნელია მანდატების მეტისმეტად არა სამართლიანი გადანაწილებაც შედარებით ძლიერი პარტიის სასარგებლოდ. მაგალითად, დავუშვათ, რომ არჩევნებში მონაწილეობს 18 პოლიტიკური ორგანიზაცია (დღევანდელი ჩვენი სინამდვილისათვის სავსებით შესაძლო რაოდენობა). ამ 18 პარტიიდან დავუშვათ, რომ 15-მა მიიღო თითოეულმა 4%-ზე ნაკლები ხმა 2%-დან 3.8%-მდე, ისე, რომ, საერთო დაკარგულმა ხმებმა შეადგინა ამომრჩეველთა 48%. დარჩენილი 3 პარტიიდან (რომლებმაც მიიღეს თითოეულმა საერთო ხმების 4%-ზე მეტი) დავუშვათ, რომ ერთი შედარებით ძლიერია და დააგროვა ხმების 32%, ხოლო დანარჩენმა ორმა, რომლებიც ოპოზიციურია პირველის მიმართ—დანარჩენი ხმები, ე. ი. 20%. ძალთა ამ ახალ განაწილებაში, როცა ერთ პარტიას მხარს უჭერს ამომრჩეველთა 32%, ხოლო მის ოპოზიციურ პარტიებს — 20%, საარჩევნო კანონის თანახმად პირველი პარტია ღებულობს პარტიული სიებით განკუთვნილი მანდატების 61,5%-ს (77 მანდატს ჩვენი არჩევნების შემთხვევაში), ოპოზიციურ პარტიებს კი მანდატების 38,5%—48 მანდატი რჩება. ამ მაგალითზე აშკარად ჩანს პროპორციული წესით არჩევნების მიღებული კანონის არსებითი ნაკლი: პარტიას, რომელსაც ამომრჩეველთა მესამედიც (ხმათა 32%) კი არ უჭერს მხარს შეუძლია მიიღოს დეპუტატთა მანდატების ნახევარზე ბევრად მეტი რაოდენობა იმისდამიხედვით რამდენი პარტია მონაწილეობს არჩევნებში და ამათგან რამდენი მიიღებს 4%-ზე ნაკლებ ხმებს.

ამჟამად მოსახლეობის ნაწილის სტაბილური მხარდაჭერით (ამ მხარდამჭერთა რიცხვი პრაქტიკულად არაა დამოკიდებული არჩევნებში მონაწილე პარტიების რაოდენობაზე) უეჭველად სარგებლობს კომუნისტური პარტია. ამიტომ კომპარტიის მიერ მიღებული ხმების ხვედრითი წილი ხმების საერთო რაოდენობაში მით უფრო გაიზრდება, რაც უფრო მეტი პარტია მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში და ამის გამო რაც უფრო მეტი რაოდენობის ხმა დაიკარგება 4%-ნი ლიმიტის გამო.

იმისათვის, რომ საარჩევნო კანონის ამ თავისებურმა ნაკლმა არ იმუშაოს ერთი რომელიმე პარტიის სასარგებლოდ, აუცილებელია არჩევნებში მონაწილე პარტიათა რიცხვის შემცირება მათი ბლოკებში გაერთიანების გზით. საორიენტაციო გაანგარიშებით (თუ დაუშვებლად მივიჩნევთ 15%-ზე მეტი ხმების დაკარგვას) ოპტიმალურ ვარიანტად შეიძლება მივიჩნიოთ 3—4 ბლოკის შექმნა. ყოველ შემთხვევაში საერთო ძალისხმევით უნდა ვეცადოთ პარტიების და ბლოკების რიცხვი არ აღემატებოდეს რვას მაინც.

**სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირის სახელით,**

**გივი გაჩეჩილაძე,**
**ტექ. მეცნ. დოქტორი.**
**10. 09. 90.**


## ხელმომწერთა

მხატვრულად განახლებული, ეკოლოგიური და პოლიტიკური თემებით გამდიდრებული, მოცულობით გაორმაგებული ჟურნალის „საქართველოს ბუნების“ თითოეული ცალი 1991 წლიდან ეღირება 70 კაპიკი. ერთი წლით — 8 მან. 40 კაპ.

საქართველოს ერთადერთი ეკოლოგიური და ილუსტრირებული ჟურნალი სავაჭრო ჯიხურებში რადგან ძნელად იშოვება, იჩქარეთ მისი დროულად გამოწერა.

ჟურნალ „საქართველოს ბუნების“ რედაქცია.

## საყურადღებოდ


აღვადგინოთ ისტორიული სიმართლე

# პავლე ინგოროყვას საზოგადოების დამფუძნებელი საინიციატივო ჯგუფის განცხადება

1990 წლის 25 აგვისტოს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს მიერ „აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის დეკლარაციისა და აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი გარანტიების შესახებ“ დადგენილების მიღების საკითხი წარმოადგენს იმ პროცესის ლოგიკურ დასასრულს, რომელიც მიმდინარეობდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დასაწყისიდანვე და წარმოადგენდა შეთქმულებას ქართველი ხალხის მიმართ. სავალალოა, რომ ეს აქცია მიმდინარეობდა საქართველოს კომპარტიისა და ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა გარკვეული ნაწილის წაყრუებითა და თანხმობით, რომლებიც „სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის“ პერიოდში გამოჩენილი ქართველი მკვლევარისა და ისტორიკოსის პავლე ინგოროყვას, როგორც „მეცნიერ-დისიდენტის“, საპირისპირო მხარეზე დადგნენ ოფიციოზის საამებლად, ნათლიმამობისა და კარიერიზმის გამო. ზოგიერთები აბსილებსა და აბაზგებს (ზოგიერთები მისიმიანელებსა და სანიგებსაც კი!) არაქართველ, — აფხაზურ-ადიღეურ ტომებად მიიჩნევენ, თვლიან მათ თანამედროვე აფხაზების წინაპრებად, რითაც საფუძველს აძლევენ აფსუა ისტორიკოსებს, რომ მოყოლებული ანტიკური ეპოქიდან ვიდრე ახალ, მიმდინარე საუკუნემდე, აფხაზეთის პოლიტიკური და კულტურის ისტორია გამოაცხადონ ვითომც არაქართველი — „აფხაზი“ ხალხის ნამოღვაწარად. ამავე დროს, როგორც აფსუა მეცნიერები, ასევე მათი კოლეგა ქართველი თანამოაზრენი სრულ იგნორირებას უწევენ იმ ფაქტს, რომ უძველესი ხანის გეოგრაფები და სწავლულები: ჰელანიკე მიტილანელი (მე-5 ს. ჩვ. წელთაღრიცხვამდე), პავლეფანტე აბიდოსელი (მე-4 საუკ. ჩვ. წელთაღრიცხვამდე) და სტრაბონი (I საუკ. ჩვ. წელთაღრიცხვით) და სხვ. აფხაზეთის ტერიტორიაზე მოიხსენიებენ ხალხს სახელწოდებით **მოსხი**.

მიგვაჩნია რომ გარდაქმნას უნდა დაექვემდებაროს არა მარტო საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემა და ეკონომიკური სტრუქტურა, არამედ „საბჭოთა ისტორიოგრაფიის“ დროს შექმნილი ისტორიული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილიც.

პავლე ინგოროყვას რადიკალური კონცეფცია აფხაზეთის ისტორიის საკითხებზე ზემოთ მოხსენებულმა მეცნიერებმა უგულვებელყვეს არა მეცნიერულად, დისკუსიისა და კამათის წესით, არამედ როგორც იმ დროს მიღებული იყო — ადმინისტრაციულ-პარტიული მეთოდებით; „ნეიტრალებმა“ ინგოროყვასეული კონცეფციები მონათლეს როგორც „ჰიპოთეზა“. უფრო მეტიც, ზოგიერთმა სწავლულმა, ვერ „მოიცალა“ პ. ინგოროყვას სქელტანიანი ნაშრომების გასაცნობად და ჭეშმარიტ მამულიშვილსა და თავდადებულ მეცნიერს „ფანტაზიორის“ იარლიყი მიაკრა.

ქართველმა საზოგადოებამ კატეგორიულად უნდა მოსთხოვოს ასეთ ისტორიკოსებს: ან მეცნიერულად დაარღვიონ „გიორგი მერჩულეში“ ავტორის მიერ წარმოდგენილი დებულება ქართველებისა და აბასხების (აფხაზების) იდენტურობის შესახებ, ან დაძლიონ თავიანთი ავადმყოფური თავმოყვარეობა და შეუერთდნენ დიდი მკვლევარისა და მეცნიერის ჭეშმარიტ კონცეფციას. მით უმეტეს, რომ ბოლო წლებში მიმდინარე ისტორიულმა კვლევა-ძიებებმა მხოლოდ დაადასტურეს პავლე ინგოროყვას მიერ გამოთქმული დებულებანი ქართველთა და ისტორიულ აფხაზთა ერთიანობის შესახებ. რაც შეეხება აფსუა ხალხის საცხოვრისის განსაზღვრას, — მთელი რიგი ნაშრომები (ზოგიც გამოუქვეყნებელი) აშკარად ასაბუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# «აქცია»

**დაარღვია** რა ევოლუციური განვითარების ბუნებრივი პროცესი, საბჭოურმა ეკონომიკური აზროვნების წესმა ცნება **„გეგმა“** გააფეტიშა და ლამის არის ასეულ მილიონობით კაცი, ნებაყოფლობით, კომუნისტ-ენთუზიასტთა ამ „საყმაწვილო სენს“ შეეწიროს.

ასე დაიწყო სოციალისტური ეკონომიკური „ამბოხი“ „ძველ მსოფლიოსთან“.

თითქოს დადგა დრო ყმაწვილურ სიანცეს შევეშვათ, უხერხული პოზა-პოზიცია შევცვალოთ და ნორმალურად **ფეხზე** დავდგეთ. ჭარმაგი ასაკი ხომ პასუხისმგებლობასთან ერთად, უფრო მეტ სიდარბაისლეს მოითხოვს. მაგრამ რა?!

მიმდინარეობს **დაგეგმილი** ეკონომიკური **აქციის** 73-ე წელი. რევოლუციური ეკონომიკური ექსპერიმენტი გრძელდება.

გზადაგზა (შიგადაშიგ) მეამბოხე კომუნისტური სული „ახალ-ახალი აზროვნებით“ იმუხტება. თუ ცივილიზაციის გზის გამკვალავი ხარ, თანაც პრეტენზიული, ცხადია პრინციპების დათმობა არც ისე ადვილია.

ყოვლის გამგებელს, როგორც ჩანს, შემცდარ ცოდვის შვილთა ეს გაფეტიშების მანია, საყმაწვილო-ეკონომიკური სენი მხედველობიდან გამორჩა, არ გაუთვალისწინებია. ვერც გაითვალისწინებდა. მას ხომ კომუნიზმი არ „დაუგეგმავს“. ამიტომ არც ის შეეძლო სცოდნოდა, რაც შემდეგ მოხდა. ...და გავრცელდა ჭირი.

შეიქმნა ნორმალური ყოფის დამთრგუნველი სისტემა: დაგეგმვის კომიტეტები, ინსტიტუტები, თეორიები, მეთოდები, მექანიზმები. დავიგეგმეთ და დავკომპლექსდით ჩვენ ყველანი. დაიგეგმა და დაკომპლექსდა ჩვენი ეკონომიკა, ჩვენი აზროვნება, ყოფა. ვცდილობთ მომავლის დაგეგმვასაც. ეს ჩვენდა უნებურად მოგვდის — მივეჩვიეთ. მაგრამ სასიკეთო ჯერჯერობით ჰორიზონტზე არაფერი ჩანს.

ძველი, ბებერი მსოფლიო შეშფოთებული შემოგვცქერის, გვაკვირდება, გვსინჯავს და დელიკატურად ცდილობს ნაცადი ხერხებით გვიმკურნალოს, საჭირო „აბები“ შემოგვთავაზოს. არაფერი გამოდის. მიზეზი?!

სოციალისტურ **გეგმურ** მეურნეობას სამი მემკვიდრეობითი ნაკლი აქვს, რაც უკლებლივ ყველა სამეურნეო რეფორმას „გენეტიკურად“ გადაეცემა. ამ სამი ნაკლის გამოსწორება და „სისტემის“ განკურნება ნიშნავს მისი არსებობის სამი ცხოველმყოფელი ძალის: იდეის, იდეის მამისა და იდეის მამამთავრის სამარცხვინო პოლიტიკურ სიკვდილს. ძნელია ამას შეეგუოს კაცი, მაგრამ ნაშიერის გადარჩენას, რა თქმა უნდა, ცოდვათა მონანიებით, მამაც და პაპაც შეიძლება შეეწიროს. ასე უფრო ზნეობრივი იქნება ვიდრე პირიქით.

აი, ეს სამი ნაკლი და სატკივარი:

პირველი — გეგმა უნდა შესრულდეს;

მეორე — გეგმა შეიძლება ვერ შესრულდეს;

მესამე — გეგმა შეიძლება გადაჭარბებით შესრულდეს.

ყველა შემთხვევაში დაავადებანაკლი აქ ისაა, რომ დაგეგმვა, ზოგადად, დირექტიული, მბრძანებლური კატეგორიაა. დირექტივას კი ეკონომიკური შინაარსი არ გააჩნია. სამეურნეო ანგარიშიანი, სამართლებრივი ეკონომიკა — ეს ისეთ ინტეგრირებულ წარმოების წესს გულისხმობს, სადაც შემაკავშირებელი ძალა მხოლოდ თავისუფალი, „ქაოსური“ სისტემის თავისუფალი ელემენტები შეიძლება იყოს.

რეალური სამეურნეო ანგარიში ხომ ეკონომიკური კანონების რეალიზაციის ბუნებრივი, ობიექტური გამოხატულებაა?! ამიტომ ის არ შეიძლება იყოს ამა თუ იმ მეურნეობის გაძღოლის მეთოდი ან ფორმა. კონიუნქტურული, იდეურ-პოლიტიკური მოსაზრებით ეკონომიკური კანონების განხორციელების არც ფორმის, არც მეთოდის არჩევა ან შეცვლა არ შეიძლება. უცვლელია მათი მოქმედებისა და გამოხატვის წესიც.

დაგეგმვისაგან განსხვავებით, სამეურნეო ანგარიშის რეალიზაციის ფორმა თავისუფალი ეკონომიკური ბაზარია, მეთოდი — სასაქონლო-ფულადი ურთიერთობანი. ხოლო გეგმა... „გეგმა კანონია.“

მთავარი ნაკლი გეგმური მეურნეობისა პირველია: დირექტივა — გეგმა უნდა შესრულდეს. დანარჩენი ორი სატკივარი აქედან გამომდინარეობს.

ცენტრალიზებულად გათვლილი გეგმა აუცილებლად ოპტიმალური უნდა იყოს და ის აუცილებლად ყველა რგოლში, ყველა პუნქტში უნდა შესრულდეს, ამასთან რეგიონული, თუ დარგობრივი იერარქიის ყველა დონეზე. წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა ცენტრალიზებულად ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანმაპირობებელი პროცესი: ეკონომიკურ პარტნიორთა რესურსებით, შრომის საგნებით უზრუნველყოფის ცენტრალიზებულად გათვლილი ნატურალური ბალანსი. ეს იმდენად არის ნაკლი ეკონომიკისათვის, რამდენადაც დირექტივით ამის მიღწევა პრაქტიკულად შეუძლებელია.

სინამდვილეში გეგმა ან „გაბერილია“, გაზვიადებული, ან შესაძლებელზე შემცირებული, ოპტიმალური გათვლა შეუძლებელია.

თუ გეგმა გაბერილია, არ არსებობს რეალური საფუძველი მის შესასრულებლად. ეს თავისთავად იწვევს ცენტრალიზებულად გათვლილ-განაწილებული მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობას ამა თუ იმ სამეურნეო რგოლში, ეკონომიკური კავშირების მოშლას გეგმურ ჯაჭვში.

თუ გეგმა რეალურ შესაძლებლობაზე შემცირებულია (დაბალანსებული მინუსით), „ფონდირებული“ რესურსების ათვისებით წარმოიქმნება ფაქტიური მოთხოვნილებით გაუთვალისწინებელი სიჭარბე საზოგადოებრივი პროდუქტისა, რაც შემდეგ უვადოდ და უსარგებლოდ „განისვენებს“ რომელიღაც ბაზაში, საწყობში, მაღაზიაში, ხოლო რომელიღაცაში... არ არის.

ორივე შემთხვევაში ეს იწვევს საწარმოო ინფრასტრუქტურის მოშლას, ზენორმატიული ნაშთების წარმოქმნას, მართვის პარალიზებას, სამეურნეო ასფიქციას, დეფიციტს და ათას სხვა ჭირს, საბოლოოდ თითოეული ჩვენგანის ოჯახში რომ „იბუდებს“. ცენტრალიზებული გეგმური გათვლა ზიარი ჭურჭლივით ვერ ეგუება საზოგადოებრივი პროდუქტის სიჭარბეს, ან დეფიციტს, გიგანტური საერთო ჭურჭლის — ქვეყნის სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ამა თუ იმ სექტორში. აქ გოლიათი „გოსპლანიც“ უძლურია.

თუ არაოფიციალურ ინფორმაციას დავუჯერებთ, ქვეყნის სამეურნეო ჯურღმულებში თავმოყრილია **900 მილიარდი** მანეთის ღირებულების სტრატეგიული, დეფიციტური რესურსები, ისე, რომ მისი გამოყენება გეგმური ორგანიზაციის პირობებში პრაქტიკულად შეუძლებელია. ეს სამეურნეო თვალსაზრისით უსარგებლო პროდუქციაა, რომლის ამოძრავებაც დამატებით ტრილიონობით მანეთის შემოსავალს მოგვცემდა. ასეთია რეალურად გეგმური ეკონომიკური ინტეგრაციის, გეგმური კოოპერაციის, საერთოდ გეგმური მართვის ეფექტიანობა, რასაც, ცხადია, საბჭოურ საგეგმო სამეურნეო სისტემას უნდა ვუმადლოდეთ.

ამრიგად, გეგმურ მეურნეობაში ეკონომიკური პროცესების ოპტიმალური, სამეურნეოანგარიშიანი განვითარება **გამორიცხულია.** წარმოებაც და მოხმარებაც დირექტიულ, იძულებით ინტეგრაციულ კავშირებზეა აგებული.

მსგავსი კავშირი საკმარისია მხოლოდ იმისათვის, რომ დირექტიულად მოცემული დავალების შესაბამისად გაიზარდოს ამა თუ იმ პროდუქტის ფიზიკური მოცულობა. ცვალებადი მოთხოვნილება, კონიუნქტურა აქ უგულვებელყოფილია. ნატურალურ ბალანსზე აგებული დაგეგმვის სისტემა ამ კატეგორიებს უბრალოდ ვერ გამოიყენებს.

ასეთ პირობებში საწარმომ რომ იარსებოს, გეგმას კანონის ძალა უნდა მიენიჭოს და ენიჭება კიდეც, რაც მართვის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის სასიცოცხლო მოთხოვნილება ხდება. საწარმოთა არსებობის (უმეტესად — რეანიმაციული არსებობის) ერთადერთი საშუალება დირექტიული გეგმაა. ეს პირწმინდად გამორიცხავს მათ ერთმანეთთან თავისუფალ ეკონომიკურ ინტეგრაციას: ვერავისგან ვერაფერს იყიდის, ვერ გაცვლის, რადგან რესურსები (ფონდები), შუალედური პროდუქცია (ნაკეთობანი, კვანძები) და მზა პროდუქცია ცენტრალიზებულად ნაწილდება. ეკონომიკური ბაზარი კი ცარიელია. ყველაზე ცუდი მაინც ის არის, რომ საწარმოს მუშაობა ისევ ცენტრიდან იგეგმება, ე. წ. „შეზღუდული საკონტროლო მაჩვენებლებით“.

ასეთ პირობებში საწარმოს, დარგის, ან რეგიონის სამეურნეო-ანგარიშიანი თვითმმართველობა, მისი ესა თუ ის „მოდელი“ **„ფიქციაა.** ამ მოდელების დამკვიდრებისათვის სწრაფვა კი — **უსაგნო ძალისხმევა.**

განსაკუთრებით რთულადაა საქმე ე. წ. ტერიტორიული სამეურნეო ანგარიშის დროს. სამეურნეო ანგარიშის დანერგვას, ყველა შემთხვევაში ესაჭიროება არა მუშა სუბიექტი — სამუშაო ძალის სახით, არამედ **დაინტერესებული ადამიანები.** ტერიტორიულ სამეურნეო ანგარიშს ის დამაინტერესებელი ძალა აქვს, რომ აქ უფრო გამოკვეთილია ადგილის პატრონის (სუბიექტის) ინტერესები, ვიდრე დარგობრივ სისტემაში. რეგიონულ დონეზე, ვთქვათ, შიგარესპუბლიკურ ტერიტორიულ ერთეულებში ეს თვითმმართველობის იმანენტურ ფორმას იძენს. ამიტომ აქ სამეურნეო ანგარიშის რაიმე უნიფიცირებული მოდელის გამოყენება შეუძლებელია. უნდა გავითვალისწინოთ ე. წ. რეგიონალიზმის პრინციპი, რაც სამეურნეო აზროვნების და წესის დამკვიდრებული ტრადიციების გათვალისწინებას გულისხმობს.

საწარმოს დონეზე სამეურნეო-ანგარიშიანი ურთიერთობის მონაწილე სუბიექტის დაინტერესება, არსებითად, ცალსახაა (ძირითადად ეკონომიკური). რეგიონის დონეზე კი სამეურნეო ანგარიშის ტრადიციულ ეკონომიკურ მოთხოვნებსა და მიზნებს ემატება ეროვნული, ადგილობრივი, კუთხური ინტერესები და მიზნები. ე. ი. ტერიტორიული სამეურნეო ანგარიში უფრო რთული შინაარსისაა და მოიცავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ კატეგორიებს.

ცხადია, აქ ცვალებადი ეკონომიკური და სხვა ელემენტების კოლოსალური სიმრავლე გვხვდება, რომელთა გეგმური პროგნოზიც შეუძლებელია.

ეს ის საკითხებია, რომელთა გაუთვალისწინებლობა უმიზნოსა და უშინაარსოს ხდის ტერიტორიული სამეურნეო ანგარიშის იდეას. **მარტო კონცეპტუალური სქემებითა და შესაბამისი კანონებით ეროვნული ეკონომიკური პრობლემები ვერ გადაიჭრება.** თვითმმართველობის ქართული **საბჭოთა „ან-ბანით“** ეკონომიკურად დამოუკიდებელი საქართველოს „რომანი“ ვერ დაიწერება.

მაგრამ ჩვენ ყოველთვის შეუძლებელის შეძლებას ვცდილობთ. ასე მივადექით რევოლუციური „გარდაქმნის“ 73-ე წელს.

სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მონაწილე სუბიექტთა შესაძლებლობები, ინტერესები და სახსრები დღეს ისევ დარგობრივ საცერში იცრება და საბოლოოდ უსახური **უწყების** პოლიტიზებული აპარატის საწურში იწურება. საზოგადოება კვლავ ექსპლოატირებულია.

მართვის დეცენტრალიზაციის და ფსევდოდემოკრატიზაციის პროცესმა, ამასთან, მისი რეალური შესაძლებლობების სიღრმისეულმა გააზრებამ მავანთა მიერ, ბუნებრივად (თუმცა „გარდაქმნის“ მამებისათვის სრულიად მოულოდნელად) წარმოშვა იდეა სამეურნეო ანგარიშის ტერიტორიული პრინციპების დანერგვის შესაძლებლობის შესახებ. ამის ერთ-ერთი მიზეზი, უეჭველია, საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის მოუწესრიგებელი ფედერაციული შინაარსი გახდა.

უნდა ვიფიქროთ, რომ კიდევ ერთ ფეტიშს ვქმნით. სიტყვის იქით საქმე არ მიდის. ძალაში რჩება სოციალისტური გეგმური რეგულირება. იდეის „რეალიზაცია“ გრძელდება. შედეგი კი კვლავ უსაგნო ძალისხმევაა. სოციალისტური გეგმური დიქტატითა და სოციალისტური კანონებით აზროვნებასა და ინიციატივას ფუნქცია დავუკარგეთ. ცხადზე ცხადია, გეგმა ვერც ბაზარს, ვერც სამეურნეო ანგარიშს ვერ შეეგუება. მათი ნამყენი ვერ გაიხარებს. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენ, ყველა, ვერ გავიხარებთ. რაიმე უნდა ვიღონოთ.

**მე, ეკონომისტი, უნდობლობას ვუცხადებ „გეგმიურ-საბაზრო“ სოციალისტურ ეკონომიკას და მის მებაირახტრეებს.** „ახალი აზროვნების“ ნაყოფი — სამთავრობო ეკონომიკური პროგრამა — ადასტურებს, რომ არ მოგვცემენ შანსს დავუბრუნდეთ გამოცდილი, ჯანსაღი ეკონომიკური აზროვნების წესს, რამაც უტოპიური სოციალიზმის იდეა „ძველი მსოფლიოს“ სინამდვილეში რეალობად აქცია.

აქ კი, ჩვენთან კომუნიზმის მშენებელთა კოლექტიური, სოციალისტური შიმშილობის „აქცია“ გრძელდება. იგი სანქციონირებულია: მიმდინარეობს უპოვართა და გლახაკთა დაგეგმილ-დაკანონებული ეკონომიკური „ამბოხის“ 73-ე წელი. ეს 26359 დღეა. ხვალ ერთით მეტი იქნება და ა. შ.

ყველაფრიდან ჩანს, რომ ნელ-ნელა გადავშენდებით, რევოლუციურ ეკონომიკურ ზნეს კი არ შევიცვლით.

სხვანაირ ყოფას ვერც შევეგუებით. დაგეგმილ-დაკომპლექსებულები ვართ და იმიტომ. ფაქტია, უპოვართა მოდგმის სასიკვდილო ხმა — ღაღადისი არავის აღელვებს... იქ, მაღლა. **არც კაცს, არც ღმერთს.**

**ნუკრი მიხანაშვილი**

**ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.**

---

თებენ ჩრდილო კავკასიიდან XVI-XVII საუკუნეებში მათი აფხაზეთში ჩამოსახლების ფაქტს. ვერავის დაარწმუნებენ აფსუა მეცნიერები, რომ ერთის მხრივ შერვაშიძე, აბაშიძე, ღლონტიძე, ლაღიძე, კუპატაძე, მაისურაძე, წერეთელი, ლომია, კაცია, გულია, გოგუა და ა. შ., ხოლო მეორეს მხრივ ჩაჩბა, ტარბა, არძინბა, ცვიჟბა, ბლაჟბა, ლაკობა, ქეცბა და მისთ. — არიან ერთი გენეტიკური წარმოშობის ხალხი. პირველნი წარმოშობით არიან ქართველები, ხოლო მეორენი ჩრდილო კავკასიური მოდგმის ხალხი — აფსუები. ზემოთ მოხსენებული ქართული გვარის მატარებლები (შერვაშიძე, აბაშიძე და ა. შ.) როდი ტყუიან, როცა ისინი ამბობენ, რომ აფხაზები ვართო, მათ წინაპართაგან ახსოვთ თავიანთი საგვარეულოს რელიქვიები, უვლიან მამა-პაპათა საფლავებს, მაგრამ ვიწრო (კუთხურმა) ცნებამ „აფხაზი“ არ უნდა დაფაროს ფართო ცნება „ქართველი“, რადგანაც აფხაზობა დღეს აფსუობის იდენტური ცნებაა. და ერთა ურთიერთგარჩევის მომენტში იგი გაურკვევლობას იწვევს.

ჩვენ ვერ მივცემთ უფლებას გადამთიელ ხალხს ერთ-ერთი ქართველი ტომის აფხაზების. სახელს ამოფარებულებმა წაგვართვან ჩვენი წარსული და მიითვისონ ჩვენი ისტორიული კულტურა, პრეტენზია გამოგვიცხადონ ჩვენს მიწაზედაც. აფხაზეთი მუდამ წარმოადგენდა ქართველი ტომების: მესხების, მეგრელებისა და სვანების უძველეს სამშობლოს; იგი მომავალშიც დარჩება ერთიანი საქართველოს განუყოფელ ნაწილად. ცხუმი „ქვემო საქართველოს“ ქალაქია, წერდა ამ ქალაქის კათოლიკური ტაძრის მღვდელმთავარი ინგლისელი პეტრე ჟერალდი კენტერბერის არქიეპისკოპოსისათვის გაგზავნილ წერილში 1330 წელს, ხოლო უფრო ადრე ფლამანდიელი დესპანი გუილიომ რუბრუკვისი 1255 წელს წერდა: „გალმა არის ჯიქეთი, რომელიც თათრებს არ ემორჩილება (ლაპარაკია თათარ-მონგოლებზე), ხოლო აღმოსავლეთით სვანები და იბერები, რომლებიც აგრეთვე არ ემორჩილებიან თათრებს“. სწორედ ამ იბერებში გულისხმობს ავტორი აფხაზეთის ქართველობას, რადგანაც, როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველოს იბერები იმ დროს ემორჩილებოდნენ თათარ-მონღოლებს. არც ის იყო შემთხვევითი, რომ მთელი დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსები ქართულ მიწაზე — ბიჭვინთაში იჯდნენ და მათი გვარებიც მუდამ ქართული იყო (ქვარიანები, აბაშიძეები).

რაც შეეხება ზემოთმოხსენებულ აფხაზეთის სუვერენიტეტის საკითხს იგი ჩვენ აბსურდად მიგვაჩნია, როგორც შეუძლებელია არსებობდეს იმერეთის, სამეგრელოს, გურიის, კახეთის და სხვა კუთხეთა სუვერენიტეტები, მაგრამ ვხედავთ რეალობას, რომ საქართველოს ამ ნაწილში სამ საუკუნეზე მეტია ცხოვრობს აფსუა ხალხი, თუმცა დღეს მთელ მოსახლეობაში მათი ხვედრითი წილი მცირეა (17%), და ისიც უნდა ითქვას რომ მათი პროცენტული შემადგენლობა, აქ მუდამ მცირე იყო, — უნდა ჰქონდეთ განსაზღვრული თვითმმართველობა, მაგრამ არა „აფხაზეთის“, არამედ აფსუათა სახელწოდებით.

თუ აფსუა ხალხს ქართველ ხალხთან ერთად სურს ცხოვრება მომავალ დამოუკიდებელ, დემოკრატიულ საქართველოში, მათმა მეცნიერებმა თავი უნდა დაანებონ ღვარძლის თესვას ქართველ და აფსუა ხალხს შორის, უნდა აღიარონ ჭეშმარიტება თუ ვინ არის აფხაზეთში აბორიგენი და ვინ მოსული, ხელი უნდა აიღონ ჩვენი ისტორიული კულტურის მითვისების ცდებზე, რადგან არ არის იმაზე დიდი მკრეხელობა, ვიდრე დღისით — მზისით ხალხს წაართვა საკუთარი ისტორია და საკუთარი კულტურა.

ჩვენი სამეცნიერო საზოგადოების მიზანია ხალხთა უფართოეს ფენებს მოუთხროს სიმართლე აფხაზეთის ისტორიისა და კულტურის შესახებ. საჭიროობის, კოლეგიალობისა და კომპეტენტურობის გათვალისწინებით. ჩვენ მუდამ მზად ვართ შევხვდეთ ნებისმიერ ოპონენტს სასურველ დროსა და ადგილზე, ჩავებათ მათთან კეთილსინდისიერ დისკუსიაში, გავმართოთ მეცნიერულ-პოპულარული პოლემიკა პრესაში, ხელი შევუწყოთ პავლე ინგოროყვას ნაშრომთა გამოცემასა და პოპულარიზაციას.

ამ მამულიშვილურ მიზანში ჩვენ ვგრძნობთ იმ დიდ მორალურ და სამეცნიერო მხარდაჭერას, რაც არსებობს ჩვენი ინტელექტუალური საზოგადოების მნიშვნელოვანი წრეებიდან და რომელიც აისახა პრესაში, მხედველობაში გვაქვს ის სტატიები და წერილები, რომლებიც აფხაზეთის ეთნიური და კულტურის ისტორიის საკითხებს მიუძღვნეს ბატონებმა როსტომ ჩხეიძემ, ზვიად გამსახურდიამ, აკაკი ბაქრაძემ, მიხეილ კეკელიძემ, ლოვარდ ტუხაშვილმა; სოლომონ ხუციშვილმა, ვიქტორ კახნიაშვილმა, ვაჟა კიკნაძემ, ალექსანდრე ონიანმა; მწერლებმა რომან მიმინოშვილმა, გურამ ფანჯიკიძემ და სხვებმა.

ჩვენ გვჯერა ქართული სიბრძნისა, რომ „ქმნა მართლისა სამართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად!“

**საინიციატივო ჯგუფის სახელით**

**აკაკი მათიაშვილი,**
**ისტორიის მეცნ. დოქტორი;**

**ბიძინა ჯუღელია,**
**ისტორიის მეცნ. კანდიდატი, დოცენტი;**

**ნათელა ფოფხაძე,**
**ფილოლოგი.**

# ალორძინება · არგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

ავსტრიული ფირმა „დატენტექნიკას“ გამოფენა-პრეზენტაცია გაიმართება თბილისში

**24-დან 29 სექტემბრამდე**

ფირმა „დატენტექნიკას“ შეუძლია თქვენი საიმედო პარტნიორი გახდეს.

— **დამუშავება**
— **წარმოება**
— **კონსულტაცია**
— **გაყიდვა**
— **ტექმომსახურება**

ასეთია ფირმა „დატენტექნიკის“ შესაძლებლობანი, მისი სპეციალობაა სატელეფონო და სატელეგრაფო ხაზების მრავალჯერადი გამოყენება.

„დატენტექნიკა“ დღეს გთავაზობთ ხვალინდელი დღის ტექნოლოგიებს კავშირგაბმულობისა და მონაცემების გადაცემის დარგში პრობლემების გადასაწყვეტად.

**ლოკალური ქსელები,**
**მულტიპლექსები,**
**მოდემები,**
**ტელექსელები,**
**ტელეფაქსები......**

ფირმის სიახლეებს შეგიძლიათ გაეცნოთ ცენტრალური ტელეგრაფის შენობაში: რუსთაველის პრ. 31.

პრეზენტაციის ორგანიზატორები არიან იუნესკოს განათლების ფონდი, საკდესი — საქინფორმი, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „პროგნოსტიკა“.

**შეკვეთები გამოფენის დათვალიერებაზე მიიღება ტელეფონით:**

**98-22-60**




სამეცნიერო-დამნერგავი ფირმა „სიგმა“
სარეკლამო-სააგენტო „მი-მი-ნო“

## ყურადღება!

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ სარეკლამო გვერდზე და სატელევიზიო გადაცემა — „ილუზიონის“ ეთერული დროისათვის რეკლამები და განცხადებები შეგიძლიათ შეუკვეთოთ ტელეფონზე:

**37-58-25**



**(11 სთ-დან 17 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა)**

მისამართი:

ბუდაპეშტის ქუჩა № 1. ფირმა „არგო“-ს სარეკლამო სააგენტო.




გამოვიდა „ქალთა გაზეთის“ პირველი ნომერი. იგი ჯერჯერობით „კაბადონ-8“-ის ყოველთვიური დამატებაა, შემდეგ კი, ალბათ, დამოუკიდებლად იარსებებს.

როგორც სარედაქციო სტატიაშია ნათქვამი, ამ გაზეთის გამოცემა დააჩქარა დრომ. რადგანაც „ჩვენს გატანჯულ სამშობლოს დღეს მრავალი სენი სჭირს და ბევრი მათგანი ქალმა უნდა განკურნოს, რაც მთავარი და საშურია — ქალის ჰკუამაც უნდა გამოიყვანოს ქვეყანა მონობის ლაბირინთიდან“...

პირველ ნომერში საინტერესო რუბრიკებია: „ქალმა თუ გაიწია“... „გულისნადები“, „რაც მოგვენატრა“, „სახელმწიფო და ჩვენ“, „მარტოობა“ და ა. შ. მარტო ამ რუბრიკების დასახელებაც კმარა, რომ მიხვდეთ, ქალთათვის რაოდენ საინტერესო და მტკივნეულ საკითხებზეა საუბარი. გაზეთში ნომრის თითოეული მასალა სიახლის, მდიდარი ინფორმაციის მომცემია და ვფიქრობთ, რომ მას ინტერესით წაიკითხავენ არა მარტო ქალები.

„ქალთა გაზეთი“ თექვსმეტგვერდიანია. იგი გამოდის თვის პირველი კვირის ბოლოს. რედაქტორია ცირა კუპატაძე. გაზეთის ფასია ერთი მანეთი. მაგრამ, როგორც რედაქციის ქალები ამბობენ, იგი შამპანურზე ძვირი არ ღირს...

**საკუთარი ინფორმაცია**

**ამ გვერდზე გამოქვეყნებული მასალების ჰონორარი გადაირიცხება ხოჯ. ჰუჯაბის მშენებლობის ფონდში, ასოციაცია „ალორძინების“ ანგარიშზე 100700608 მთაწმინდის რაიონის ბინსოცბანკში.**

ახალგაზრდა ივერიელი

Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Ивериели»

ტელეფონები: მისაღები — 93-97-81; პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56; წერილების განყოფილება — 99-96-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი
**მერაბ ბალარჯიშვილი**

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, ვ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, სიმშვიდულის № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400 უე 00916

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380008
ვ. კოსტავას ქ. № 14.